წელიწადი 1912 მეორე

ორშაბათი, 30 იანვარი № 56

ფასი გაზეთისა წლიურათ—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 3 თვით—1 მან. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

თემი

ორშაბათი, 30 იანვარი № 56

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაწუნებულ წერილებს და კორესპოდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 12 საათამდის რედაქციაში (Дворцовая ул. д. Д САРАДЖЕВА №6.) ხელის მოწერა და განცხადებები მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა
1912 წლისათვის
გაზ. „თემი“
წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. ✦ რედაქცის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газ. „ТЕМИ“. რედაქტორ-გამომცემელი **გრიგოლ დიასამიძე.**

1912 წ. **ქართული თეატრი** 1912 წ.

ყველიერის რეპერტუარი. ხუთშაბათს, 2 თებერვალს

ვლ. ს. ალექ.-მესხიშვილის ბენეფისი

წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ჰ. ჰაუპტმანის ცნობილი პიესა:

ჩაძირული ზარი

ფეერიული პიესა 5 მოქმ.

მონაწილეობს მთელი დასი. ✦ ამ პიესისათვის იხატება ახალი დეკორაციები და იკერება ახალი ტანისამოსი. რეჟისორი **ვ. მესხიშვილი.**

პარასკევს, 4 თებერვალს **დილით**

ვ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

იულიუს კეისარი

ტრაგ. 5 მოქმ.

შაბათს, 4 თებერვალს, **საღამოთი** ტ. აბაშიძის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად **ორი ოპერეტტა**

1. **მეჯლისი იტალიელებით** ოპერეტტა 2 მოქმედებად.
2. **ქორწილის წინ** ოპერეტტა 1 მოქმედებად.

კვირას, 5 თებერვალს, **საღამოთი** გამოსათხოვარი წარმოდგენა. ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია **ალლუმი** კომ. 4 მ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი ვ. მესხიშვილი.

ადმინისტრაცია ქართულ დრამატიული საზოგადოების გამგეობა ✦ დასაწყისი დილის წარმოდგენებისა შუადღის 12 საათ. საღამოს—საღამოს 8 საათ.


Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ
Адресъ телеграммъ САНТАС
Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

პატენტიანი „თერმოსი“

აპარატი

ცხელ და ცივ სასმელის შესანახად.

„თერმოსი“ საჭიროა სახმარებლად ოჯახში, ნადირობაში, მოგზაურობაში და ავადმყოფობის დროს.

სავაჭრო სახლი

„ძმ. ა. და ა. მილოვები“

ამით აუწყებს ყველას, რომ 19 იანვრიდან 26 იანვრამდის 7 დღის განმავლობაში ყოველწლიური ჩვეულებრივი

დიდი ვაჭრობა

საბრეშუმო, შალის, ტილოს, ბამბის საქონლისა. ინგლისის მრავალი მაუდის საქონელი. უკვე დამზადებული კაბები და „ბლუზკები“. **ფასები ძალიან იაფია.**

იაფი ვაჭრობის დღეებში სადილობის დროს მაღაზია დაკეტილი იქნება ნაშუადღევის 2-ნახევარ საათიდან 4 საათამდე.

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები გ. გ. გიგინეიშვილისა.

ამა წლის 25 იანვრიდან იხსნება მეორე პარალლელური განყოფილება. **კურსი 10 თვიანია.** სწავლის ფასი 100 მან. კურსებზე შესასვლელად საჭიროა ოთხ-კლასიანი განათლება. მსურველებს ასწავლიან კურსებზე **უცხო ენებს** (ფრანგულს, გერმანულს და ინგლისურს) და მანქანაზე წერას. — თხოვნა მიიღება კურსების კანცელარიაში ყოველ-დღე დილის 10 საათიდან—12 საათამდე.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის

ვაგზლის ქუჩა № 8 ტელეფონი № 695

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$—10 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა $11^1/_2$—$12^1/_2$-დე სიფილისი, კანისა და ვენერ.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა $11^1/_2$—12-დე ყელ. ყურ. ცხვირ სნეულ.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირისგარდა, შინაგანი ავად $11^1/_2$—12 ს.
მ. ნ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე, კვირი გარდა 1—2 ქირურგ. და ქალებ. სნეულ.
შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე, 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ.

ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკლევა; აგრეთ. ყვავილ. აცრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩევისათვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

წამლობა „606“-ითა.

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„ვესტელი“

ნომრები 1 მ.-7 მანეთამდე, ელექტრონის განათება, ორთქლით გათბობა, ნომრებს უფასოდ ათბობენ, ასასვლელი მანქანა „ლიფტი“, ვანები, „დუში“ მისვლისთანავე მგზავრებს შეუძლიანთ **ერთხელ** ისარგებლონ **ვანით უფასოდ.**

პირველ-ხარისხოვანი რესტორანი.

ევროპიული და აზიური საჭმელები. ცალკე კაბინეთები, პიანინო, პოლიფონი, ქორწილებისა, სადილებისა და პიკნიკებისათვის ცალკე დარბაზი. ბილიარდები და კეგელ-ბანი. სასტუმროში არის ცალკე სამკითხველო და სასტუმრო დარბაზი.

სადილები არჩევით, **ქარტით:**

2—ფერისა — — — — 60 კაპ.
3—ფერისა — — — — 75 კაპ.
4 ფერისა — — — — 1 მანეთი.

პატრონი ნოე სიხარულიძე.

მიიღება ხელის მოწერა **25 იანვრიდ 25 თებერვლამდე**

ორგინალურ თხზულ ბაზე

„როსკიპი“

რომანი ორ ნაწილად თანამედროვე ცხოვრებიდან **დ. კასრაძისა.**

წიგნი მეტად საინტერესოა და შეიცავს დაახლოვებით 360 გვერდამდე.

ფასი 70 კაპ.

წიგნები ხელის-მომწერლებს უსათუოდ დაურიგდებათ მარტის დამლევს.

ფულის გადახდა შეიძლება ნაწილადაც, 35 კაპ. ამ თავით, 35 კ. წიგნის ჩაბარების დროს. მსურველთ-აგენტებს დაეთმობათ 15 პროცენტი.

წიგნების დაკვეთა შეიძლება შემდეგი ადრესით, როგორც პროვინციებიდან, აგრეთვე ქალაქებიდანაც: Тифлисъ, редакція „Закавказская Рѣчь“, Э. Д. Горделадзе. ფულიც უსათუოდ ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს.

აქაურ ხელის-მომწერლების მისამართი ადგილები: მოსკოვის ქუჩა № 5, სტამბა ლოსაბერიძისა, **ის. ქარსელაძესთან,** მიხეილის პროსპექტი, სახლი № 3, **არტ. გიორგაძესთან,** ველიამინოვის ქ., № 6, ქალაქის სამმართლოს პირდაპირ, სტამბა „ბეჭდვითი საქმე“ **ბ. კილაძესთან.**

სასახლის ქუჩა, ძმ. ალშვანგები ტელეფ. № 477

ახალ-ახალი საქონელი

გალსტუხები, საყელოები, ჰერანგები, ხელ-თათმანები, „პაპონკები“, კაშნე, ჟილეტები. ამერიკული ფეხსაცმელი „ჰანანი ნიუ-იორკში“.

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკის თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე ძველიც, ზოგიერთის შენიშვნებით და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.** ✦ ხელის მოწერა შეიძლება თბილისს: წ. კ. გ. ს. და „ცოდნა“-ს წიგ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგ. მაღაზ. და კანტორა „იმერეთში“; ბათომს:- ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგ. მაღაზიებში.

მიხეილის სახელობაზე არსებული ქუთაისის სათ.-აზნ. საადგილ-მამულო

ბანკი

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1912 წ. 8 თებერვალს დანიშნულია ნება-ყოფლობითი იჯარით ვაჭრობა ბანკზე დარჩენილ დიმიტრი ივანეს ძე მუსხელიშვილისეულ მამულისა, რომელიც მდებარეობს გორის მაზრის სოფ. სალოლაშენში და შეიცავს სახნავსა და საძოვარ მიწებს, ზომით 66 დეს. 720 ოთხ-კუთხ საჟენს.

საჯარო ვაჭრობა მოხდება თბილისის ბანკის განყოფილებაში,

(სოლოლაკის ქუჩა, სახლი № 6.)

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ამ მამულის ცნობების მისაღებად შეუძლიანთ მიმართონ ბანკის განყოფილებას დილის 10—2 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა.

ვოლგინის ქუჩა, № 29

აგენტი

ი. მ. მიქელაძე

მიიღებს სხვადასხვა განცხადებას გაზეთებში დასაბეჭდათ, აგრეთვე ხელის მოწერას ადგილობრივ და სხვა სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებზე.

იგივე წარმომადგენელია მთელ კავკასიაში პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკის „კავკაზისა“. მისამართი: თბილისი, მიხეილის პროსპექტი, № 5.

ექიმი

გ. ფ. ნათიშვილი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღამ. 7—8 ს.

ადრესი. მონუმენტის შესახვევი № 5. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი 487.

ექიმი

ა. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობა სპეციალობა: ფილტვების სნეულება, სისხლნაკლულობა. რევმატიზმი (ქარები)

დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 საათ. კვირაობით მარტო დილით 9 1 ს.

თბილისი, ალექსანდრეს ქუჩა, № 3.

თბილისი, 30 იანვარი.

ჩვენ წინ ძევს ორი ქართული ჟურნალის იანვრის ნომრები, ერთი „მოსავლისა“, მეორე—„განათლებისა“. საინტერესოა, რომ ორივე ჟურნალის რედაქტორებმა პირველსავე გვერდზე უძღვნეს თავიანთ გამოცემებს პატარა წერილები, სადაც მოუთხრობენ მკითხველებს იმ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება მათი გამოცემები. საკვირველია სწორედ, რომ ამ ორი სხვადასხვა ჟურნალის რედაქტორების წერილებს ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე ჰანგი აქვთ. ეს ჩივილია საზოგადოების გულგრილობაზე. აი რას სწერს, სხვათა შორის, „მოსავლის“ რედაქტორი: „მეოთხე წელიწადი იწყება, რაც ეს ჟურნალი არსებობს. თუმცა პირველად ჟურნალის რედაქციამ ბევრი ადრესებით სავსე წერილი მიიღო ასეთი „საკეთილო საქმის“ დაწყებისათვის და ყოველგვარ დახმარებას ჰპირდებოდნენ ჟურნალს, მაგრამ ადრესება იგი უგულოდ აღმოჩნდა“...

ამის შემდეგ წერილის ავტორი აღნიშნავს, თუ რაოდენად გულგრილად ეკიდება სხვადასხვა ქართული საზოგადო დაწესებულება ჟურნალს და არ იწერს.

„განათლების“ რედაქციაც შემდეგს მოგვითხრობს:

„მეხუთე წელიწადია, რაც ჩვენი გამოცემა გამოდის... თუ რამდენად საძნელოა ჩვენში ქართული გამოცემის ბეჭდვა, როცა არსაიდან არავითარი დახმარება და არც ნივთიერი შემწეობაა, ყველასათვის ცხადია სწორედ ამ გარემოებაში იყო თავიდანვე ჟურნალი „განათლება“, მას აკლდა სახსარი არსებობისა, მაგრამ ბევრისაგან გვესმოდა გამამხნევებელი სიტყვები: გაუძელ; გაუძელ როგორმე, ჟურნალი თავის გზას თითონვე გაიკაფავს და ხარჯიც შემდეგში შემცირდებაო“... რედაქცია პირნათლად გამოდიოდა თავის მკითხველების წინაშე. მას იმედი ასულდგმულებდა რომ „მკითხველთა რიცხვი იმატებს და მით ჟურნალის არსებობასაც მეტი სახსარი აღმოუჩნდება“. მაგრამ ეს იმედი ვერ გაუმართლდა და რედაქციაც იძულებული გახდა წინანდელ წლიურ ფასს—ორ მანეთს და ათ შაურს ათი შაურიც წაემატებინა.

დაახლოვებით ამავე ჰანგზე არის დაწერილი წერილები ბ. იასონ გაბილაიასი, რომელიც ბეჭდავს ქუთაისში ჟურნალ „კოოპერაციას“ და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ როგორმე შეაჩვიოს ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი ამ სასარგებლო გამოცემის კითხვას.

ამნაირად სამი ქართველი: ვ. რცხილაძე, ლ. ბოცვაძე, ი. გაბილაია თავიანთ პირად ზარალს არ ერიდებიან, ებრძვიან ყოველგვარ მრავალ დაბრკოლებას და განაგრძობენ შეძლებისდაგვარად თავიანთ მუშაობას საზოგადოების სასარგებლოდ.

ეს ჩვეულებრივი სურათია ჩვენში: ერთის მხრით თავდადებული შრომა-მეცადინეობა, მეორეს მხრით თითო-ოროლა თანამგრძნობის დახმარება და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის საშინელი გულგრილობა.

ვის არ გაუტეხს ამგვარი მდგომარეობა გულს, მაგრამ მაინც ჩნდებიან ჩვენში ისეთი პირები, რომელნიც საოცარ ხასიათის სიმტკიცეს და მხნეობას იჩენენ და უძლვებიან ძნელ საქმეს მრავალ წელთა განმავლობაში

ჩვენში საზოგადოდ უყვართ ხოლმე აღნიშვნა სხვადასხვა შეძლებული კაცის ქველ-მოქმედებისა: „აი ამან და ამან რამდენი შესწირა საზოგადო საქმესო“ და იმას კი აღარ დაეძებენ, რომ შეძლებული კაცის შენაწირი ყოველთვის ნაკლებია იმ მსხვერპლზე, რომელიც მოაქვს რომელსამე, მართალია ჯიბე-გაფხეკილს, მაგრამ სამაგიეროდ, საზოგადო საქმისათვის თავდადებულ მოღვაწეს.

გამოიანგარიშეთ აუღელვებლივ, თუ რაოდენი მსხვერპლი მოაქვს ყოველ მათგანს ცალ-ცალკე და მაშინ შეიტყობთ, თუ რამდენად უსამართლოდ ვსჯით საზოგადოდ ამგვარ რამეებზე ამ „ბურჟუობის და მეშჩანობის“ დროს...

ჩვენ ამაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი იმიტომ კი არა, რომ გვსურდეს გავაზვიადოთ მუშაობა ზოგიერთი მოღვაწისა პირადის განწყობილების გამოისობით. სრულიადაც არა!

ჩვენ მხოლოდ განცვიფრებაში მოვდივართ, როდესაც ვხედავთ ერთის მხრით ერთი კაცის თავისთავის დაუზოგველ დაუღალავს მუშაობას და მეორეს მხრით საზოგადოების მომაკვდინებელ გულგრილობას. მარტო ერთი „ჯეჯილის“ რედაქტორის ქ. ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის მხნეობა რად ღირს?

ჩვენ, პრესის ხალხი, მოვალენი ვართ აღვნიშნოთ ხოლმე ჩვენი თანამოძმეების ასეთი სწორედ ტიტანური მეცადინეობა და ავუხილოთ თვალი ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა წრეებს. თორემ საზოგადოება გაყუჩებულია, იგი ვერაფერს ხედავს.

ჩვენ მოღვაწეებს მხოლოდ მაშინ გავიხსენებთ ხოლმე, როდესაც ისინი სამუდამოდ ესალმებიან წუთისოფელს. თუ გრძნობა არ დაგვჩლუნგებია, უნდა თანავუგრძნოთ მათ სიცოცხლეშივე, გავამხნევოთ და ასე როგორმე გავუადვილოთ ეს დუხჭირი ცხოვრება.

ბევრჯერ აღნიშნულა, რომ ქართველი მოღვაწეები ცალ-ცალკე სამაგალითო მეცადინე და მშრომელები არიან, ხოლო ერთად მუშაობას ვერ ეწყობიან.

მაგრამ ნუ თუ ეს თვისება თანდაყოლილი, თანშობილი უკუღმართი თვისებაა ქართველისა?

ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია სხვა ერებს წავბაძოთ და მათგან მაინც შევითვისოთ საერთო მუშაობის უნარი?

სწორედ სავალალოა ახლანდელი ჩვენი ქცევა. როცა დავინახავთ, რომ ჩვენი მოძმე მუშაობს, მეცადინეობს, ჩვენ ან ხელს ვუშლით მას, სხვადასხვა შეუსაბამო ამბებს ვავრცელებთ, ან შურით გვევსება გული და გაყუჩებული შევსცქერით.

ხშირად გაგვიგონია: ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ და არ შეგვიძლია ჟურნალ-გაზეთების გამოწერაო. ეს ასე არ არის. ჟურნალ-გაზეთების გამოწერას ფული არც ისე დიდი სჭირდება, თუ გავიხსენებთ რამდენს ვხარჯავთ სხვადასხვა არა საჭირო საგნებზე? ჩვენ მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებზე ფული გვენანება, რადგანაც ძვალსა და რბილში არ გაგვჯდომია მათი საჭიროება. სწორედ სამარცხვინო იქნება, რომ ვინმე ევროპიელთაგანმა გადაიკითხოს ის წერილები, რომელიც მოსდის ჩვენს რედაქციებს სხვადასხვა კერძო პირებისაგან და ხშირად ზოგიერთ დაწესებულებისაგანაც კი ჟურნალის, თუ გაზეთის უფასოდ დათმობის შესახებ. ამ წერილების ავტორები ვერ ხედვენ, რომ ეს მათხოვრობა სწორედ დამამცირებელია მათი თავისა. რედაქციებმა რომ უფასოდ დაუთმონ ყველას თავიანთი გამოცემები, მაშინ როგორღა უნდა გაუძლვენ გამოცემის ხარჯს?

ნუ თუ შესაძლებელია ყოველთვის სუბსიდიების საშუალებით ჟურნალ-გაზეთების გამოცემა?

პერიოდული გამოცემა თვით მკითხველმა საზოგადოებამ უნდა შეინახოს. სადაც ეს ასე არ არის, იქ მაშასადამე არც ყოფილა ჟურნალ-გაზეთის მოთხოვნილება.

ჩვენ გვაკლია მოქალაქობრივი გამბედაობა, თორემ ჩვენც წავბაძავდით ლატიშების მაგალითს. ისინი ჩვენსავით პატარა ერია და აბა ახლა იკითხეთ, რამდენი ჟურნალ-გაზეთი აქვთ სპეციალური და საზოგადო მნიშვნელობისა...

შეგნებული რომ გვქონოდა, და ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველს გამოეწერა ქართული ჟურნალ-გაზეთი, მაშინ აუდიტორიაც გაფართოვდებოდა და მწერლობაც ნივთიერის მხრით უზრუნველ-ყოფილი შეიქნებოდა.

ახლა კი ერთად-ერთი სამეურნეო, ერთად-ერთი პედაგოგიური, ერთად-ერთი კოოპერატიული ჟურნალიც კი ვერ შეგვინახავს...

ნუ თუ ეს მოვლენა სავალალო და სატირალი არ არის? მერე დავდივართ და დედაბერსავით ვწუწუნებთ: „ჩვენი მწერლები უცხო ენაზე სწერენ და უცხო პრესაში ღებულობენ მონაწილეობასო“...

დროა გონს მოვიდეთ!..

ჩვენი მაკოს დღესასწაულის გამო.

(შთაბეჭდილება).

— ჩემო მეგობარო, შენ ვერ დაესწარი და ჩემგან გინდა გაიგო, როგორი იყო მაკოს იუბილე?—არა?

— რათა მკითხავ?—განა შენ მკითხავ როგორი არის ის სანახაობა დილით ადრე, როდესაც ბუმბერაზი მზე ძლიერი, ცხოველ-მყოფელი, ცის ტატნობიდან მედიდურად ამოცურდება და თავის სხივებს მკვდარ ბუნებას მიმოჰფენს!

— რათა მკითხავ როგორ ითამაშა მაკომ?..

— შენ განა მკითხავ, როგორ სწერს აკაკი?..

— არ მკითხავ? ხომ! და ნურც იმასა მკითხავ, თუ როგორ თამაშობს მაკო.

როდესაც შენ ძლიერ ჩანჩქერის ახლო სდგეხარ და შეჰყურებ მის ძლევა-მოსილ დენას, როდესაც ისმენ მის მძლავრს, შეუჩერებელ შხუილს, რად არ ჰკითხავ შენს თავს გესმის თუ არა ყველა ის, რაც შენ ცივ თვალებიდან ცეცხლივით ანთებულ გულში გადადის. შენ არცა ჰკითხავ, რადგან, კარგად იცი, რომ პასუხს ვერ მიიღებ.

შენ ისევე უძლური ხარ ასეთ ბუნების სიდიადესთან, როგორც პაწაწა ბავშვი გაშმაგებული ძლიერი ლომის წინაშე.

— შენ განა არასოდეს არ გამოგიცდია როდესაც შენი დაუჭერელი გრძნობა გადალახავს შენს აზროვნებას, მთლად შენ და მიჰქრის უშენოთ, სადღაც შორს, შორს და მთელის შენის აკანკალებული ბუნებით უტყვი, უაზრო, უკან მისდევს მას, ვერ ამჩნევ ვერც ტყეს, ვერც ღრეს. იმ დროს თვით გაშმაგებულ ზღვის ტალღებსაც კი უმეგობრდები და სიკვდილის შავი უკმეხი სახე დილის ნაზ ცისკრათ გეჩვენება. ვერ მეტყვი, რომ ეს ხშირათ გამოგეცადოს.

რადგან განგება ასეთის სანახაობით იშვიათად თუ გაგამხნევებს, გამოგეალერსება.

ის ძუნწია, შეუბრალებელი ძუნწი. იგი ერთ წამს გაგიქროლებს ცისიერივით, ალგაფრთოვანებს, შენ, კაცუნას ერთ წამს, თავის ღვთაებრივ ძალით დაგიახლოვებს, გაგალმერთებს და როს იგემებ მის უშრეტელ სილამაზეს, თავისუფლად ამოისუნთქავ, მყისვე შავს უფსკრულს გაჩვენებს. იქ დიდხანს, დიდხანს იგორავებ და ფორთხვით, ტალახით გასვრილი გულ-მკერდით შეეხვეწები, ის ღვთიური სანახაობა კვლავ გაჩვენოს, გაგიმეოროს. თუ ეს ასე არ არის, მაშ რატომ ვერ უნდა ვიხილოთ ღრმად მეტყველი თვალები მაკოსი, რათ არ უნდა დავტკბეთ მისი ნაზი მომხიბლავი ხმით. რათ აღარ უნდა გვეხმაურებოდეს მისი ცხოველი სიტყვა, რათა? რათა?

ბრაზმორეული ტყუილათ იკითხავ. განგებამ კიდევ მოგიალერსა, წინ ლამაზ ქალივით ნაზად გაგიქროლა ვერცხლივით წმინდა ნაკადულით ჩაირაკრაკა, ტკბილი იმედ ამღძვრელი დღესასწაულით, იარები დაგიამა მხოლოდ ერთ წამს, ტკივილი დაგიყუჩა და მწარე ხარხარით გაინავარდა...

დიდხანს, კიდევ დიდხანს უნდა ელოდე, ბედშავო ქართველო, მის შენსკენ პირის ქცევას...

ვინ იცის როდემდის...

გ. ახრახაძე.

მ. საფაროვის ქალისადმი მიმართული ადრესი

აზ. „თემის“ რედაქციის, თანამშრომლების და ასოთ-ამწყობების მინდობილობით 22 იანვარს წაკითხული რედ. წევრის ბ. მ. წულუკიძის მიერ.

ხელოვნების სახელოვანო მსახურო, ქალბატონო მარიამ! დღევანდელი დღე დიდებული დღეა ქართველ ხალხისათვის!

ის არის დღესასწაული ქართულ ხელოვნებისა, ქართველ ქალისა, ქართველ ხალხის კულტურულ წინსვლისა.

ქართულ ხელოვნებისა იმიტომ, რომ ჩვენ დღეს თაყვანსა ვსცემთ იმ ადამიანს, რომელიც ნიჭის შესანიშნავ ძლიერებით, სანამ შეეძლო, ემსახურა მშობელ ხალხის სასცენო ხელოვნებას და შესაფერ სიმაღლეზე აიყვანა იგი.

ქართველ ქალისა იმიტომ, რომ ჩვენი სახელოვანი მსახიობი იმ პირველ ქალთაგანია ქართველ საზოგადოებაში, რომელმაც უშიშრად გადალახა ვიწრო პატრიარქალური ტრადიციები ქართველ ქალთა აზროვნებისა და მედგრათ თავს იდვა მძიმე უღელი საზოგადოებისათვის დაუღალავი მუშაობისა.

დღევანდელი დღე დღესასწაულია ქართველ ხალხის **კულტურულ განვითარებისა** იმიტომ, რომ მან სულიერად აღზარდა, ძუძუ აწოვა ადამიანს, რომელმაც ქართულ მელპომენის ტაძარში 30 წელიწადი მშვენიერების განხორციელებას დაუღალავად და უშურველად ემსახურა.

მან მოჰპარა თავის აღმზრდელს ტირილი, ტანჯვა, ვაება, მწუხარება და თავის პირად ტანჯვა-ტირილში გასთქვიფა. მან მოსტაცა მან სიცილი, მშვენიერების გრძნობა და მათი საშუალებით გაამხნევა, სიცოცხლის სული შთაბერა თავის აღმზრდელ ხალხს.

სამშობლო სცენა ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა სიცოცხლის ნამდვილ სარკედ გარდაქმნა

მასში საზოგადოება თავის სახიერებას აკვირდებოდა და წინსვლას, გაუმჯობესებას ემსახურებოდა, ესწრაფოდა.

ვაშა იმ ადამიანს, რომელმაც ამ ტიტანური მუშაობის განხორციელებაში მთელი თავისი სულიერი ძალა შეიტანა.

ვაშა იმ ქალს, რომელმაც ხელოვნებას თავისი საუკეთესო დღენი უხვად შესწირა!

ვაშა ჩვენი სცენის სახელოვან მსახურს!

დიადი დღესასწაული და მწარე საგონებელი*).

ამას წინად ზოგიერთებმა მოგვაგონეს, რომ წელს 18 იანვარს, სრულდება თამარ მეფის გარდაცვალების შვიდი საუკუნის წლის, თავი და ამისათვის საჭიროა ქართველობამ არ დაივიწყოს ამ დღესასწაულის გარდახდაო. ამას სხვებიც მიემხრენ და რამოდენიმე წერილი კიდეც დაიბეჭდა ამ საგნის შესახებ. ზოგიერთებს ჰსურთ ამ დღესასწაულის ღირსეულად გარდახდა და სხვათა შორის ერთ-ერთ წერილში დაწვრილებით გეგმაც კი არის მოხსენებული ამ დღესასწაულის აღსანიშნად.... (იხ. სახ. გაზ. № 488).

შეიძლება ბევრი რამე არ გვეხერხებოდეს ქართველებს, მაგრამ ამ ღირსებას მტერიც კი ვერ ჩამოგვართმევს, რომ მეტად გვიყვარს „იუბილე“-ს გარდახდა. უთუოდ ამ გაძლიერებულ ხალისით არის გამოწვეული ეს ახალი იუბილეს წინადადებაც, თორემ ამის მეტი სხვა ჩვენ აქ ვერაფერი ვიგულისხმეთ.

სრულებითაც არ ვეწინააღმდეგებით იმ რწმენას, რომ ყოველი ღირს-შესანიშნავი ხანა ერისა და მის თვალსაჩინო შვილთა ცხოვრების უნდა აღინიშნებოდეს განსაკუთრებულის დღესასწაულობით, მაგრამ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ შეიძლება ეხლა, დღევანდელ გარემოების მიხედვით, ისეთი დღესასწაულის გარდახდა, როგორიც შეჰფერის თამარ მეფის ცხოვრების შვიდასი წლის თავს?!..

ერთ-ერთი წერილის ავტორი (იხ. სახალხო გაზ. № 488) ამბობს: ,,თ. სახოკიამ და მ. ჯანაშვილმა მოგვაგონეს, რომ ეს შვიდასი წლის იუბილე სრულდება 18 იანვარს და ვინაიდან ჩვეულებრივ ქართველების უზრუნველობით დავიგვიანეთ მომზადებით, რომ ღირსეულად დავხვედროდით ამ არა ჩვეულებრივ ეროვნულ დღესასწაულს,—წინადადებას იძლევიან იუბილე გადადებულ იქმნას პირველ მაისისათვის, როდესაც თამარის დაბადება-გარდაცვალების მოგონება იქნება შეკავშირებული''-ო.

როგორ, ბატონო, ნუ თუ მარტო ის გვაბრკოლებს, რომ ,,ოთხი თვეც ძალიან მცირე დროა ღირსეულად მომზადებისათვის'' და ,,ჩვეულებრივ ქართველების უზრუნველობით დავიგვიანეთ მომზადებით'' —და მეტი არაფერი?!... არა თუ ოთხი თვე, არამედ ოთხი წელიწადიც რომ გვქონდეს მოსამზადებლად —განა შევსძლებთ მომზადებას, ,,რომ ღირსეულად დავხვდეთ ამ არა ჩვეულებრივ ეროვნულ დღესასწაულს“?!..

აი ამას უნდა კარგად გათვალისწინება და დინჯი დაკვირვება...

ჩვენ კი სულ სხვა მიზეზი მიგვაჩნია უმთავრეს დაბრკოლებად და არც ისე საადვილო საქმედ გვაქვს დასახული ასეთი დღესასწაულის გარდახდა...

აბა, გაითვალისწინეთ ჩვენი ეხლანდელი დრო, ჩვენი ეხლანდელი ცხოვრება, თვითეული ჩვენგანის ძალ-ღონე კერძოდ ყველას შეერთებული საერთოდ —შეიძლება განა, არა თუ ,,ღირსეულად'', არამედ ოდნავ-მიმსგავსებითაც კი გარდავიხადოთ ისეთი დღესასწაული, როგორიც ასეთ შემთხვევას შეჰფერის?!..

ვსთქვათ, ყოველივე დაბრკოლებას რომელიც ჩვენს **გარეშე** ჰგიებს და ჩვენს ნებაზედ არ არის დამყარებული, —ვსძლიეთ და ამასაც გვერდი ავუარეთ, **შინაურს** დაბრკოლებას—როგორღა უნდა ვსძლიოთ?!..

რანი ვართ ჩვენ ეხლა იმ ხანასთან შედარებით, რომლის დღესასწაულობას ვითომ ვლამობთ? როგორ უნდა აღინიშნოს ამ დიად ადამიანის სანახსოვრო-მოსაგონარი არი დღე ისეთმა შთამომავლობამ, რომელმაც თავისი არც წარსული უწყის, არც აწმყო და რომელსაც წინანდელთან შედარებით ზნეც შეცვლილი აქვს, ელფერიც სხვა, გულიც სხვანაირად უძგერს და აზრიც სხვანაირად უჭრის—ესე იგი ყოველივე გამოცვლილი აქვს, რაც წარმოადგენს ადამიანის, ამ ბუნების მეფის, ნიშანდობლივ თვისებასა და სიმდიდრეს...

როდესაც მეტყველი არსება უტყვის მდგომარეობამდე არის ჩამოქვეითებული, როდესაც მას აჩრდილიც კი არ შერჩენია წინა-დროის ძლიერი სულის-კვეთების — ასეთი შთამომავლობა ,,ღირსეულად დღესასწაულს'' ვერაოდეს ვერ გადაიხდის!..

როდესაც საზოგადოებას მცირე მსხვერპლიც ვერ შეუწირავს თავის საზოგადო საქმეებისათვის, რომ კუს-ნაბიჯით მოარულ საქმეს ცოტა საწადმართო ნაბიჯი წაადგმევინოს წინ, ესეთი საზოგადოება ,,ღირსეულად დღესასწაულს'' ვერასოდეს ვერ გადაიხდის...

როდესაც სიძაბუნე და სილაჩრე ისე მორეული გვაქვს, რომ ორიოდე წამსაც ქართველ ადამიანს ქართული ლაპარაკი ვერ მოუხერხებია—ასეთი დროისა და გარემოების შვილი ზემოხსენებულ „დღესასწაულს ღირსეულად'' განა გარდაიხდის?!

როდესაც დღევანდელ ქართველს იმდენიც კი ვერ მოუხერხებია, რომ თავის შვილს სხვა მრავალ ენასთან ერთად დედა-ენაც შეასწავლოს, თუ საფუძვლიანად არა, იმდენად მაინც, რომ მას ქართულად მოლაპარაკეთა შორის თავი უცხოელად არ მიაჩნდეს—ასეთი საზოგადოებაც ,,ღირსეულად დღესასწაულს'' ვერავის გადაუხდის!...

როდესაც საზოგადოება და მისი მოწინავე თაობაც კი სრულებით არ იცნობს (ან თუ იცნობს, მხოლოდ გაკვრით), თავის წარსულს, განვლილ დროთა საუკეთესო ხანას, მის სულის ჩამდგმელთ და საერთოდ თავის წარსულ ეროვნულ ავლა-დიდებას—ასეთი საზოგადოებაც „ღირსეულად დღესასწაულს'' ვერასოდეს ვერ გარდაიხდის!..

როდესაც საზოგადოება ისე დაკნინებულა, რომ ისეთ დიად ნაწარმოებს, როგორიც არის შოთას უკვდავი ვეფხის ტყაოსანი, ნამდვილი წამკითხველი მხოლოდ ათეულებით ეყოლება და მთელი ერი კი ისეთი, რომლისთვისაც უცხოა სრულებით სიდიადეც ამ განსაცვიფრებელ თხზულების და შოთას სათაყვანო პირისაც— ესეთი საზოგადოებაც ღირსეულად დღესასწაულს'' ვერაოდეს ვერ გადაიხდის!...

დიახ, ასეთ პირობებში გამართული დღესასწაული პატივისცემა კი არ იქნება იმ ადამიანის, არამედ სულ სხვა რამ.

და რომ კიდევაც გავმართოთ დღესასწაული—რას ემსგავსება იგი?—ყველაფერს გარდა დღესასწაულისა. იმ დღესასწაულის მოწამეს მხოლოდ სინანული უნდა უვსებდეს გულს და ყურში პატივსაცემელ აჩრდილისაგან სასაყვედუროდ ხმა ესმოდეს: ,,ვაგლახ, ჩემნო ქართველნო, როგორ დაკნინებულხართ და აჩრდილს ლა დამსგავსებიხართ''!

დიახ, ეს უნდა გაიგონოს ყოველმა ჩვენთაგანმა, და ვისაც აჩრდილები არა სწამს, მან მიმოიხედოს გარშემო, დაკვირვებით გაითვალისწინოს ჩვენი ვითარება, საქმიანობა და სხვას ვერას იგრძნობს საიმედოს და სანუგეშოს...

ამისათვის ჩვენი რჩევა სულ სხვანაირია: დასნეულებულ ხანას არ შეჰფერის და არც ძალუძს ისეთი დღესასწაულის გარდახდა, რომელიც შეეხება საუკეთესო, ძლევა-მოსილებით აღსავსე ხანას, რომლის მსგავსი ჩვენს ერს სამი ათასი წლის არსებობის განმავლობაში ერთხელ მეტად არაოდეს არ ჰღირსებია და მის მრავალ-ტანჯულ ხანგრძლივ სიცოცხლეს ერთჯერ მეტად ნუგეშის მცემელ გვირგვინად არ დასდგომია.

მივანდოთ ასეთი დღესასწაული უკეთესს ხანას და უფრო მომარჯვებულ დროს... თუ ჩვენ შევესწრებით—მაშინ, თუნდაც რომ ასის წლის თავიც არ იყოს—ვიდღესასწაულებთ მას. და თუ ვერ შევესწრებით—სულ ერთია, ერის ცხოვრება ათეულით და ასეულით არ განისაზღვრება— არამედ უფრო ხანგრძლივის დროთა-სრბოლით, რომელსაც უნდა გარდაეცეს სხვა ბევრ რამესთანერთადეს დღესასწაულობაც. ეგებ ჩვენ შთამომავალთ უფრო შესძლონ ეს საქმე და ბედმაც ჩვენზედ უფრო გაუღიმოსთ... მაშინ იგინიც შეგვიწყნარებენ ასეთ დაგვიანებას და უგულობად არ ჩამოგვართმევენ ეხლანდელ დღესასწაულობის სხვა დროისათვის გადადებას.

ჩვენი აზრი ასეთია, და მწუხარების მეტი ვერაფერი გვაგემა ამ იუბილეს გახსენებამ. ნეტავი მას, ვისაც შეუძლია სიხარულით მისი შეგებება, ჩვენ კი სულ სხვა მწარე საგონებელს მივეახლეთ იმის გახსენებაზე..

სულ სხვა რამეა საჭირო ამ დღესასწაულის ნაცვლად და ეს უფრო ღირსეული პატივისცემა იქნება ამ დიადი ადამიანის ხსოვნის. მაგრამ ეს შემდეგ იყოს.

ვ.

---

*) „თამარის დღესასწაული“ ჩვენ ისე მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, რომ სიამოვნებით დავსტამბავთ აღძრული საკითხის ყოველმხრივ გამოსარკვევად სხვა და სხვა წერილებს. ამისათვის ვუთმობთ ადგილს ამ წერილსაც, რომელიც ეკუთვნის ერთ პატივცემულ ქართველ საზოგადო მოღვაწის კალამს. **რედ**

სალიტერატურო საღამო და პოეტის დაჯილდოვება

16 იანვარს სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა ქართული თეატრი. აქ პირველად უნდა მომხდარიყო საკონკურსოდ წარდგენილ და ჟიურისაგან მეორე პრემიის ღირსად ცნობილ ლექსის ავტორის დაჯილდოვება. სამწუხაროდ, დრო უხერხული შეხვდა ამ ამბავს (ორშაბათი დღე იყო) და ამიტომ იმდენი ხალხი ვერ დაესწრო, რამდენიც სასურველი იყო.

დარბაზობა გახსნა ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა აკაკიმ, რომელიც წითელი მაუდით გადაფარებულ მაგიდასთან იჯდა. მის გვერდით ისხდენ გრ. დიასამიძე, ჟიურის წევრები: ნიკ. ქართველიშვილი, იაკობ ნიკოლაძე და მიხ წულუკიძე.

საღამოს დანარჩენ მონაწილეთაც დაეჭირათ თავ-თავიანთი ადგილები სურვილისამებრ სცენაზე, რომელიც ოთახს წარმოადგენდა.

აკაკიმ გახსნა თუ არა დარბაზობა, სიტყვის ნება მისცა გრ. დიასამიძეს, რომელმაც მოკლედ განუმარტა კრებას საღამოს დანიშნულება. ამის შემდეგ მიხ. წულუკიძემ წაიკითხა საინტერესო რეფერატი სათაურით ,,ესთეტიური კრიტიკის საფუძველი''. ეს რეფერატი ,,თემის'' შემდეგ ნომერში დაისტამბება. მეორე განყოფილებაში ილ. ელეფთერიძემ წაიკითხა ექსპრესიით თავის მოთხრობა. შემდეგ პ. ირეთელმა წაიკითხა დღევანდელ ნომერში დასტამბული თავის ჰიუმორისტიული ნაწარმოები ,,ალსარება'', რომელიც ძალიან მოეწონა დამსწრე საზოგადოებას. მერე გ. ახრახაძემ წაიკითხა მოთხრობა, კ. მაყაშვილმა—თავის მშვენიერი ლექსი, აგრეთვე შ. ამირეჯიბმაც თავის ლექსი, ტრ. რამიშვილმა კი თავის ერთ თხზულებიდან შეშლილის მონოლოგი. ქართველმა მსახიობმა ც. ამირეჯიბის ქალმა დიდის ექსპრესიით წაიკითხა შარშან ,,თემში'' დასტამბული ს, აბაშელის ლექსი ,,ჩაჰქრა დილა''. საზოგადოდ ამირეჯიბის ქალს მშვენიერი ქართული კილო და გამოთქმა აქვს, რაიც იშვიათი თვისებაა ჩვენიარტისტებისა.

მესამე განყოფილებაში გრიგოლ დიასამიძემ წაიკითხა თავის ნაწარმოები ,,გენიოსის ხსოვნას'', ლეონ ტოლსტოის სიკვდილის გამო დაწერილი. მანვე განმარტა, რომ ,,თემის'' რედაქციას სურდა დიდებული მწერლის წლის თავზე ქართულად ლიტერატურული საღამო გაემართა, მაგრამ ამ განზრახვის შესრულება ვერ მოუხერხდა მასზე დამოუკიდებელ მიზეზის გამო. ამის შემდეგ საზოგადოების წინაშე გრამოფონმა წარმოსთქვა ლეონ ტოლსტოის სიტყვები. მწერლის სასიამოვნო ხმა მსმენლის გულს ღრმად სწვდებოდა. როცა საზოგადოებამ მოისმინა მწერლის საუბარი, ,,ახალი კლუბის“ ორკესტრმა ს. პრესმანის ლოტბარობით სამაგალითოდ დაუკრა სვენდსენის მელოდია, რომელიც სწორედ შეეფერებოდა დიდებული მოხუცის გახსენებას.

საზოგადოებაში ჩამოვარდა საოცარი დუმილი, რომელიც თვით მეტყველებდა...

საღამოს ბოლოს მოხდა პოეტის დაჯილდოვება. საზოგადოება დიდის მოუთმენლობით მოელოდა „საღამოს“ ამ ნაწილს. გრ. დიასამიძემ განმარტა ,,თემის'' მიერ გამართულ კონკურსის პირობები და აღნიშნა, რომ ამგვარი დღესასწაული, პირველია. წაიკითხა აგრეთვე ჟიურის ოქმი, რომელიც დღეს არის დასტამბული. მერე თვით დაჯილდოვებული ლექსიც „მზე“ და გადასცა ბ. აკაკის გასახსნელად კონვერტი, რომელშიაც ავტორის ვინაობა იყო დაცული. ბ. აკაკიმ გახსნა და გამოაცხადა, რომ ავტორის სახელი— **ს. აბაშელი** დიდი ტაშისკვრა ასტყდა. ავტორი ამ დროს პარტერში იჯდა. გრ. დიასამიძემ მოიწვია ის სცენაზე პრემიის მისაღებად. როდესაც ს. აბაშელი გამოვიდა სცენაზე, ბ. აკაკიმ გადასცა კონვერტი, რომელშიაც 30 მ. [illegible] პრემია). ამ სცენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. კარგა ხანს ტაშისკვრა არ შეწყვეტილა. „საღამოს“ ბოლოს გრ. დიასამიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, რომ ასე თანაგრძნობით დაუხვდა ამ პირველ ცდას, რომელსაც მიზნად ჰქონდა ქართულ ლიტერატურის სამსახური. საზოგადოებამ დიდი ტაშისკვრით გასცა პასუხი.



ს. აბაშელი (ი. ჩოჩია)

ამ „საღამომ“ საზოგადოდ მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე. დიდად სასიამოვნო იყო, რომ „საღამოში“ ორკესტრიც იღებდა მონაწილეობას. ის უკრავდა დრო-გამოშვებით მომხიბლავ მელოდიებს.

სამწუხაროდ, ადგილობრივი პრესა გულ-გრილად დაუხვდა ამ ორიგინალურ დღესასწაულს. ,,ზაკავკაზსკაია რეჩის'' გარდა არც ერთმა გაზეთმა არ დაბეჭდა „საღამოს“ შესახებ ანგარიში. ეს სწორედ დამახასიათებელი მოვლენაა ახლანდელი ჩვენებური საჟურნალ-გაზეთო წოდებისა...

ძ.

მზე

1. დილა.

ფრთა-ნაცქვეტი დილის სიო ზღვის მუქ ნაპირს გაეყარა,
მთის ქეჩოზე მისვენებულ ნისლის მკრთალ გუნდს მიეპარა,
ფრთა შემოჰკრა, გაალვიძა, უცხო ჰიმნი შეჰსისინა
და ვით გედთა მწყობრი რაზმი წამოშალა, ააფრინა.
ცის კიდური ზღვის ტალღებში ვარდის წყლითა გაილესა.
ზღვა ათრთოლდა. მთვარე ჩაჰქრა. ღამემ ტყეში დაიკვნესა.
დილის ვარსკვლავს სხივი მოსწყდა,—ის ნიავმა მიწას სტყორცნა;
მიწამ ზეცას გაუღიმა,—დაუბრუნა ვარსკვლავს კოცნა.
ცივ სალ-კლდეზე დანადენი მთებში წყარო აწკრიალდა,
მას ხევ-ხუვმა ბანი მოსცა, ნაძვ-ტირიფი აშრიალდა;
ცის მნათობთა მქრალი შუქი ცისკრის ამბორს ჩაექსოვა,
ირმის ნახტომს გაემწკრივა თეთრად პენტილ ღრუბელთ გროვა.
შავ-ფრთებიან ღამის თავადს განთიადი გაეპარა,
ცის ლაჟვარდზე გაიშალა, მის ტალღებზე დაემყარა.
ჰა აპოლლომ ცეცხლის ეტლით ცა გაჰკვეთა, გაარღვია,
და ქვეყანას მკერდ-მოქარგულს ოქროს წვიმა დააფრქვია.

2. შუა-დღე.

ცეცხლის მახვილმა გააპო ეთერის ლურჯი გუმბათი,
ცის თაღზე ალის კვარცხლბეკზე მზე დაესვენა სხივ-მნათი.
შეჩერდა დენა ჟამისა, მისწყდა ხმა ფოთოლთ რხევისა,
მიწამ სცნო ზეცის სიუხვე, სრულ-ყოფა სხივთა-ფრქვევისა.
მზის ნაპერწკლებით დაჭრილნი ჩრდილნი უძრავის ხისანი,
ღრუბლის ნაწყვეტთა სახენი და ლანდნი მაღალ მთისანი,
უცნაურ შიშით პყრობილნი, მზის სახეს ემალებიან,
მაგრამ ალთ-შხეფით მსხვრეულნი, სხივებ-გაყრილნი ჰქრებიან.
თეთრად აინთო მთის თხემი, თოვლის გვირგვინით შემკული,
ვით სიყვარულის სამსხვერპლო, წმინდა კოცონით გზნებული,
და მიანათა მთა-გრეხილს ცით მომსკდარ სხივთ-ჩანჩქერადა,
მწვანედ ჰფოთლილი მიდამო წარმტაცად ააფერადა.
ზღვამ ვერ გაუძლო ცხელ ისრებს, ზეცის მწველ თვალის ცქერასა,
დაჰკარგა სულის სიმშვიდე, უმატა გულის ძგერასა.
აღრტვინდა სივრცე უსაზღვრო, დაიმტვრა სარკე ბროლისა,
ზვირთთ აედევნა ნელი ხმა ზღვაურ ნიავის ქროლისა.

3. საღამო.

მწუხრის ჟამის ცივმა სუნთქვამ ტყეს სიცივე აგრძნობინა,
მზის ალერსით დამთვრალ იას აუთრთოლა მყუდრო ბინა;
მიწის ფიქრი ცის ნაფიქრალს გარდააჭდო, ერთად შეწნა,
ფერი უკრთო მთის ლურჯ ზოლებს და შეჰსუდრა წყლის პირს ძეწნა.
ცის დასავალს ოქროს ფერი ზღვამ ტალღებით ჩამოჰბანა,
წყალი ეთერს შეუერთა:—შესთხზა სივრცის ამოცანა.
შავად მოსილ აღმოსავლეთს მთვარემ ჩრდილი მოახია
და მარიხის წითელ საწოლს ვერცხლის ბადე მოახვია.
შორს ვარსკვლავი მოსწყდა სივრცეს, უფსკრულისკენ გაეშურა,
ცეცხლად იქცა და წინწკლებად ცის თეთრ ყვავილთ დაესხურა,
ძირს, უნისლო ზღვის სიღრმეში, გაიელვა ცეცხლის ხაზმა,—
ვერცხლის ციმციმს მიემატა ოქროს სხივთა აიაზმა.
მყუდროების ანგელოსმა ბინდის სიო მიაძინა,
მარმარილოდ გაიშალა ზღვის უჩრდილო ზვირთთა მინა.
ცა გაიხსნა. სხივი გაკრთა ცივ სამყაროს კიდე-პირად.
ლოცვად დადგა დედამიწა:—მსხვერპლს ამზადებს შესაწირად.

სატურნი. (ს. აბაშელი)

ს. აბაშელი.

(მოკლე ბიოგრაფიული ცნობანი)

ს. აბაშელი არის ფსევდონიმი ახალგაზრდა მწერლის ისააკ ბესარიონის ძ ჩოჩიასი. ისააკ ჩოჩია დაიბადა 15 აგვისტოს 1884 წელს სოფ. საჩოჩიოში (სენაკის მაზრა, ქუთ. გუბ.) მამა მისი ძლიერ ღარიბი გლეხი იყო. ხუთი წლის რომ შეიქმნა ისააკი დედამისმა ქართული წერა-კითხვის სწავლება დააწყებინა. მისი დედა ქართულის კარგი მცოდნე იყო. 6 წლის იყო ახალგაზრდა მგოსანი, მამა რომ მოუკვდა. 7 წლის რომ გახდა დ აბაშის ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებელში მიაბარეს. 12 წლისამ სკოლა დაასრულა, სამწუხაროდ უსახსრობის გამო ვერ შეიძლო სწავლის განგრძობა. დარჩა სოფელში მისი დედა მუდამ ავათმყოფობდა. პატარა ისააკი და მისი ორი და უვლიდენ დედას. მათ ჰქონდათ სოფელში პატარა ნაჭერი მიწა ეზოდ და ერთიც ქოხი. მეზობლები უთოხნიდენ და ამ მოსავლით იკვებებოდენ. როცა შეიძლებდენ, თვითონ სთოხნიდენ ხოლმე. 16 წლის რომ შეიქნა ს. აბაშელი დედაც მოუკვდა. უფროსი და ადრე გათხოვდა. დარჩენ მარტო და-ძმა. 17 წლის რომ გახდა ფოთში მოუხდა ჩასვლა. ზღვის დანახვამ წაუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მომავალ მწერალზე. მან გადასწყვიტა, რაც უნდა მოსვლოდა, გემის ,,კაპიტანი'' გამხდარიყო. იდგა ნავთსადგურზე და ყოველ გამვლელ გემის უფროსს ემუდარებოდა წაეყვანა თან და ,,კაპიტანად'' მოემზადებინა. ბოლოს აღმოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი, რომელმაც იკისრა მისი წაყვანა ქ. ხერსონში საზღვაოსნო სკოლაში შესაყვანად. ისააკმა მოაგროვა ათი მანეთი და გაჰყვა იმ კაცს. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ის კაცი გზაში, ნოვოროსსიკის ნავთსადგურს რომ გასცდენ, უეცრად გარდაიცვალა. ათი მანეთიც მას ჰქონდა მიბარებული. დარჩა ახალგაზრდა ყმაწვილი გემში უფულოდ და უპატრონოდ. გემის უფროსის თანაშემწეებმა რომ გაიგეს მისი მდგომარეობა, მისცეს ათი მანეთი, მიიყვანეს ოდესაში და ხუთი დღის შემდეგ უკან დააბრუნეს ბათომში.

გაუცრუვდა იმედი. დასახლდა სოფელში. ჰკითხულობდა ქართულ წიგნებს, რაც შეხვდებოდა. რუსულის კითხვასაც კარგად შეეჩვია.

სოფლის მუშაობას ვერ შეეგუა. ამისთვის არ შესწევდა არც ფიზიკური ძალა და არც საიმისო მოწყობილობა ჰქონდა. შეუდგა ყმაწვილი სხვა სამუშაოს ძებნას. აბაშის ფოსტის განყოფილებაში ფოსტალიონის კანდიდატის ადგილი მისცეს. რამდენიმე თვის შემდეგ ბორჯომის ფოსტის კანტორაში ფოსტალიონად გადაიყვანეს. აქ კარგად მოეწყო. კაი ძალი წიგნები შეიძინა რუსული და ქართული სხვა და სხვა შინაარსისა.

ამასობაში მოაწია 1904 წელმა. იფეთქა რუსეთ-იაპონიის ომმა. მის აზროვნებაში ბუნდოვანად წარმოდგენილმა ხაზმა ნათელი მიმართულება მიიღო.

დადგა 1905 წელი. სამსახურს თავი დაანება ბ. ჩოჩიამ და ბათომს შეეხიზნა. 1906 წლის დამდეგს დააპატიმრეს და ჯერ ოლონეცისა და შემდეგ ვოლოგდის გუბ. გადაასახლეს. 1908 წელს ასტრახანის გუბერნიაში გადმოიყვანეს. ამავე წელს, ქუთაისში სამხედრო წესების მოხსნის გამო, განთავისუფლეს.

ჩამოვიდა თბილისში. მთელი წელიწადი უადგილოდ იყო. 1909 წელს გ. ამირეჯიბმა გაზეთ ,,ზაკავკაზიეს''-ს დამტარებლათ მიიღო. 1910 წლის გაზაფხულს ,,ნოვაია რეჩის“ რედაქტორმა პ. გოთუამ მისი რუსული ლექსების ბეჭდვა დაიწყო და გაზეთის კორექტორად დააყენა. ამავე წელს დაიბეჭდა პირველი მისი ლექსი ქართულს ენაზე ,,თეატრი და ცხოვრების“ აგვისტოს ნომერში („შავი აჩრდილი“).

იგი ამ ჟამად მუშაობს გაზ. ,,ზაკავ-

კახსკაია რეჩში''.

ჭეშმარიტად სამწუხაროა, რომ ასეთ ნიჭიერ ყმაწვილს ჩვენში არავითარი საშუალება არ ეძლევა სწავლა დაამთავროს — ეს იმ დროს, როდესაც თავად-აზნაურობა წ.-კ. საზოგადოება და კერძო შეძლებული პირები მათ-მიერ დაარსებულ სტიპენდიების საშუალებით მოხელეებს უზრდიან სხვებს. ვისაც სურვილი ჰქონდა დაეარსებინა ნიჭიერ ქართველთათვის საგანმანათებლო ფონდი, მან ვერაფერი გააწყო ვერც თავად-აზნაურობის, ვერც დანარჩენ ჩვენი საზოგადოების გულ-გრილობასთან.

ასე ვზრუნავთ საზოგადოდ ჩვენს იმედზე და მომავალზე ..

ოქმი „თემის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსის ჟიურის სხდომისა.

სხდომა შესდგა 1911 წელს 28 იანისს. დაესწრნენ წარმომადგენლები: გაზ. ,,თემისა'', ,,სახალხო გაზეთისა'', ,,ეშმაკის მახისა'', ,,კოლხიდისა'', სალამურისა'', ,,სიტყვა-კაზმულ საზოგადოებისა'', და ,,დრამატიულ საზოგადოებისა''. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა სიტყვა-კაზმულ საზოგადოების თავმჯდომარე გრიგოლ რცხილაძე, მდივნად არჩილ ჯაჯანაშვილი. ჟიურის პირობების წაკითხვის შემდეგ, კრებამ სთხოვა ,,თემის'' რედაქტორ-გამომცემელს გრ. დიასამიძეს პირადად მიეღო მონაწილეობა ჟიურიში, რაზედაც მან თანხმობა გამოაცხადა. სულ საკონკურსოდ წარმოდგენილია 15 წყვილი კონვერტი, ერთი კონვერტი წარწერით ,,საკონკურსო ლექსი'', ერთი კონვერტი შემდეგის წარწერით: ,,ხელოვნება არის სულის ყოველგვარ მიმოხვრის გამოსახვა'', ერთიც გაზ. ,,თემის'' სახელზე ჟიურისათვის. რადგანაც ამ უკანასკნელ კონვერტის ზედ-წარწერიდან არა სჩანდა, რისათვის იყო გამოგზავნილი კონვერტი ,,თემის'' რედაქციის გაუხსნია და ამ რიგად გამორკვეულა ავტორის ვინაობა. ამიტომ ჟიურის კრებამ დაადგინა ეს კონვერტი გამორიცხოს საკონკურსო კონვერტების სიიდან. კონვერტი ზედ-წარწერით ,,საკონკურსო ლექსი'' ჟიურიმ გახსნა და როდესაც აღმოჩნდა, რომ შიგ ავტორის ფსევდონიმიც იყო ცალკე პატარა კონვერტში, ჟიურის მიერ მიღებულ იქმნა. კონვერტი ზედ-წარწერით: • ,,ხელოვნება არის სულის ყოველგვარი მიმოხვრის გამოსახვა'', ჟიურიმ გახსნა და რადგანაც ავტორის ვინაობა გამოირკვა, საკონკურსო კონვერტთა სიიდან გამორიცხულ იქმნა.

ამ რიგად სულ საკონკურსოდ დარჩა 16 კონვერტი.

ჟიურიმ დაადგინა: განიხილოს საკონკურსო ლექსები, მიუსაჯოს პრემიები, მხოლოდ ვინაობა თვით ავტორისა გამორკვეულ იქმნას მხოლოდ საჯარო კრების დროს. კრებამ ითათბირა იმის შესახებ, რით უნდა იხელმძღვანელოს ჟიურიმ ლექსის დაჯილდოვების დროს აბსოლიუტურის, თუ შედარებითი საზომით, ე. ი. აუცილებლად უნდა დაჯილდოვებულ იქმნას ერთი რომელიმე ლექსი, რომელსაც უფრო საუკეთესოდ იცნობს წარმოდგენილთაგან, თუ მხოლოდ ისეთი, რომელიც საზოგადოდ იქმნება ცნობილი კარგ ლექსად. ერთხმად გადაწყდა, ჟიურიმ იხელმძღვანელოს აბსოლიუტურის საზომით. ლექსი ზედ-წარწერით ,,მარტო დევიზია'' გამორიცხულ იქმნა საკონკურსო სიიდან, რადგანაც საკონკურსო წესის წინააღმდეგ 50 სტრიქონზე მეტი აღმოჩნდა. ყველა ლექსები **ერთხმად** უარჰყო ჟიურიმ, გარდა ლექსების ,,უხილავისა'', რომელიც უარყოფილია 5 ხმით წინააღმდეგ 3-ისა, „სუსამბარისა'', რომელიც უარყოფილია 7 ხმით წინააღმდეგ 1-ისა.

ლექსი ,,მზე'' ,,სატურნის'' დევიზით მიღებულია 5 ხმით წინააღმდეგ 3-სა. ამ ლექსს მიუსაჯა ჟიურიმ ხმის უმრავლესობით მეორე პრემია (30 მან.) უმცირესობა (3) იმის მომხრე იყო, რომ უნდა ჰრგებოდა მას პირველი პრემია (50 მან.) ,,ქებითი ფურცლები'' ჟიურიმ უარჰყო.

გ. რცხილაძე, გრ. დიასამიძე. არჩ. ჯაჯანაშვილი, ნ. ქართველიშვილი, ნ. კალანდაძე, მ. წულუკიძე, პ. კალანდაძე, ს. დადიანი.

მ ა დ ლ ო ბ ა

„თემის“ სალიტერატურო სალამომ მოგვცა შემოსავალი 71 მ. 38 კ. აქედან დაჯილდოვებულ ლექსის ავტორს მიეცა პრემიად 30 მან. დანარჩენი 41 მ. 38 კ. გარდაეცა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც აგრეთვე სხვა ხარჯების გატუმრებაც იკისრა.

რედაქცია მოვალედ რაცხს თავის თავს დიდი მადლობა მოახსენოს ბ. აკაკის საპატიო თავმჯდომარეობისათვის, ქ-ნ ც. ამირეჯიბისას, ი. ელეფთერიძეს, მ. წულუკიძეს, ტრ. რამიშვილს, პ. ირეთელს, გ. ახრახაძეს, შ. ამირეჯიბს—სალიტერატურო სალამოში მონაწილეობის მიღებისათვის; ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თანაგრძნობისათვის და ხარჯების გაწევისათვის, ,,ახალი კლუბის'' მამასახლისთა საბჭოს ორკესტრის უსასყიდლოდ დათმობისათვის და ,,გრამოფონის'' საზოგადოების მმართველს ბ. ტაბლიაშვილს გრამოფონის უფასოდ დემონსტრაციისათვის.

„თემის“ რედაქტორ-გამომცემელი

გრ. დიასამიძე.

თავ. ვასილ თუმანიშვილს

(გვირგვინის მაგიერ)

შენ კაცი იყავ, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა: ბროლივით წმინდა გრძნობა-გონებით კეთილ-შობილი, სპეტაკი გულით, უწყინარი და კრძალვით აღსავსე!..

იშვიათია ადამიანში გაშლილი იყოს ეგრე მწყობრად და ხუნნელოვანად სათნოებისა, პატიოსნებისა და გამრჯელობის ყვავილები, როგორაც შენში, ჩემო მარად დაუვიწყარო ძვირფასო მეგობარო და განვითარებულო მასწავლებელო — რეჟისორო!

ქართული სცენა და მისნი მუშაკნი რომელთა შორის შენ თავდავიწყებით მოღვაწეობდი ორის წლის განმავლობაში, არ დაგივიწყებენ, სანამ არ აღმოიფხვრება ადამიანის გულიდან თაყვანისცემა ყოველივე პატიოსნურისა მაღალისა და კაცურ კაცობისადმი...

ვალერიან გუნია.

პატარა ფელეტონი.

მადლობა და სიხარული.

„თემი“ დიდ მადლობას უთვლის ,,სახალხო გაზეთს''. ამ უკანასკნელმა პირველს შეცდომა გაუსწორა. პატარა შენიშვნის ,,მ. საფაროვის ქალის პატივისმცემელთა საყურადღებოდ'' შემდგენელს უნებლიეთ ერთი შეცდომა მოუვიდა. მოიხსენია, რომ საიუბილეო კომიტეტის მიერ გამოცემულ წიგნაკს ჩართული აქვს მ. საფაროვის ქალის სურათი ოფელიას როლში და ფრჩხილებში აღნიშნა ,,ოტელლო''. დარწმუნებული ვართ, ჩვენი მკითხველები ისე განვითარებულნი არიან, რომ ეს შეცდომა არ შეურყევდა მათ ცოდნას. თვითონაც მიხვდებოდენ, რომ ეს შეცდომა უნებლიეთია და შემთხვევითი. ეს იქიდან სჩანს, რომ იმავე ავტორის მიერ შედგენილ მ. საფაროვის ქალის ბიოგრაფიაში, რომელიც იმავე ნომერშია დასტამბული, მოხსენებულია, რომ ,,ჰამლეტში'' მშვენივრად ასრულებდა ჩვენი მსახიობი ოფელიას როლს. მადლობასთან ერთად ,,თემი'' სიხარულს აცხადებს, რომ ,,თემის'' გულ-დასმით მკითხველ ,,სახალხოელებს'' თანდათან ეტყობათ წინსვლა ცოდნის შეძენაში. აი ახლაც მათ უკვე მტკიცედ იციდენ, რომ ტრაგედია ,,ჰამლეტში'' ოფელიას როლია და ,,ოტელლოში'' დეზდემონასი.

ეს სწორე მოგახსენოთ დიდი ნაბიჯია წარმატების გზაზე მას შემდეგ, რაც ჩვენი შეუდარებელი თანამოკალმენი საფლავის ძეგლებზე ჩვეულებისამებრ ეპიტაფიების მაგიერ **ეპიგრამებს** სწერდენ...

ახალი კლუბი

სამშაბათს, 31 იანვარს გაიმართება

ჩვეულებრივი საოჯახო სალამო.

იმღერებს მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი და დაუკრავს მუსიკას ორკესტრი.

ამის შემდეგ ლოტო.

რედაქციისაგან.

მ, საფაროვის ქალის იუბილეს აღწერილობა დაისტამბება შემდეგ ნომერში.

როდის მიიცვალა თამარ მეფე?

ამ ბოლოს დროს ჩვენს საზოგადოებაში ლაპარაკი აღიძრა თამარის გარდაცვალებიდან 700 წლის იუბილეს აღნიშვნის შესახებ. ჩვენც გვსურს ამის თაობაზე ორიოდე სიტყვა გავუზიაროთ მკითხველებს. თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი — 1212 წელი 18 იანვარი—გამონგარიშებულია აკადემიკოს ბროსსეს მიერ და მის შემდეგ ეს თარიღი საერთოდ მიღებული იყო, ვიდრე თედო ჟორდანიამ თამარის გარდაცვალების წლად არ დასდვა 1213 წელი. აკადემ. ბროსსეს თარიღი ფრიად ზერელად არის გამონგარიშებული. ბროსსე თავისს ჰოსაზრებას ამყარებდა „ქართლის ცხოვრების“ ცნობაზედ. სახელდობრ, მატიანეში თამარის სიკვდილი მოხსენებულია შემდეგ ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალებისა, რომელიც ითვლებოდა, როგორც სომხურ წყაროებიდან სჩანს, საქართველოს სამეფოს მანდატურთ უხუცესად და ამირსპასალარად. თარიღებს თამარ მეფის მატიანე მოკლებულია, მაგრამ მე-XIII საუკ. სომხის ისტორიკოსნი თამარის ეპოქაზედ მხოლოდ ორიოდე თაობით დაშორებულნი, ზაქარია მხარგრძელის სიკვდილს დასდებენ 1212 წელს. მაშასადამე, ფიქრობდა ბროსსე—თამარი ამ წლამდის ცოცხალი ყოფილა. ხოლო რაკი ქართლის ცხოვრების მე-XVIII საუკუნის ვარიანტებში თამარის გარდაცვალება მოხსენებულია 18 იანვარს, ამიტომ ბროსსეს აზრით, თამარის სიკვდილი უნდა დაიდვას 18 იანვარს იმავე 1212 წ. ცხადია, თუ როგორ ყალბ ლოგიკურ მოსაზრებაზეა აშენებული ეს თარიღი. მართლაც, თუ ზაქარია მხარგრძელი 1212 წელს გარდაიცვალა და ქართლის ცხოვრების ცნობაც, რომ თამარი ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა, სინამდვილეს ეთანხმება, მაშინ შეუძლებელია თამარი გარდაცვლილიყოს იმავე 1212 წელს 18 **იანვარს**. სახეში მისაღებია კიდევ ის გარემოება, რომ მატიანის სიტყვით თამარი ზაქარიას შემდეგ კარგა ხანს ყოფილა ცოცხალი, რადგან მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ მოხსენებულია ქართველების გალაშქრება მთიულეთში, რომელიც გაგრძელებულა ზაფხულის სამი თვე. აი ამ მოსაზრებით თედო ჟორდანიამ უარჰყო ბროსსეს თარიღი და თამარის გარდაცვალება მიაკუთვნა 1213 წელს და ისიც ერთ-ერთ ზაფხულის თვეში — უფრო დაახლოვებით აგვისტოში. ცხადია ბ-ნ ჟორდანიას თარიღი უფრო საღ ლოღიკურ მოსაზრებაზეა დამყარებული, ვიდრე ბროსსესი. თუ ბროსსეს თარიღი (1212 წ. 18 იანვარი) ყოვლად შეუწყნარებელია, თედო ჟორდანიას ანგარიშიც არ ეთანხმება სინამდვილეს და აი რატომ. როგორც თედო ჟორდანიას ისე ბროსსეს თარიღი დამყარებულია ქართლის ცხოვრების ცნობებზედ. მაგრამ საქმე ის არის, რომ მატიანეს შეუძლებელია ეჭვ აუღებლად მივენდოთ, რადგან — როგორც კრიტიკულმა შესწავლამ გვიჩვენა — თამარის მატიანის მეორე ნაწილი თანამედროვეს მიერ კი არ არის დაწერილი, არამედ უფრო გვიან, არა უადრეს მე-XIII საუკუნის დასასრულისა, მაშასადამე 2—3 თაობის შემდეგ. გარდა ამისა ეს მემატიანე (მეორე), რომელსაც დაწერილი აქვს თამარის მეფობის მეორე ნახევარი, არცთუ დიდად განათლებული კაცი იყო. მისი თხზულებაც ფაქტების მხრივ დ მეთოდოლოგიურადაც მდარე ღირსებისაა. ამით აიხსნება, რომ მას მრავალი ფრიად ღირსშესანიშნავი ფაქტი თამარის მეფობისა სრულიად აღნიშნული არა აქვს და რაც აღნიშნულია ისიც შეცდომებით, ასე რომ მემატიანის ცნობების მიხედვით, თუ სხვა უცხო და ადგილობრივი წყაროები არ დავიხმარეთ, შეუძლებელია თამარის მეფობის სურათის აღდგენა. ეგებ ამ გარემოებით აიხსნება, რომ აქამდის ქართველებს ერთი ხეირიანი მონოგრაფიაც არ არ მოგვეპოვება ამ ფრიად ღირს შესანიშნავ ეპოქის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ქართლის ცხოვრების ცნობებზედ დამყარება ჩვენი საკითხის გარდასაწყვეტად შეუძლებელია, რადგან მაშინ ფრიად უცნაურ დასკვნამდის შეიძლება მივიდეთ. სახელდობრ, ახლა უეჭველი ხდება სომხურ ეპიგრაფიულ წყაროების შესწავლით, რომ ზაქარია მხარგრძელი გარდაიცვალა არა 1212 წელს, როგორც გარდმოგვცემენ მე-XIII საუკუნის სომხის ისტორიკოსნი, არამედ 1215 წელს და მაშინ ქართლის ცხოვრების მიხედვით თამარი უნდა გარდაცვლილიყოს შემდეგ ამ 1215 წლისა, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. ცხადია, ამ გზით ჩვენ ფონს ვერ გავალთ და ზაქარია მხარგრძელს უნდა თავი დავანებოთ. ქართლის ცხოვრებაში მოიპოვება ერთი ცნობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი თარიღის გადასაწყვეტად. სახელდობრ მემატიანე გიორგი ლაშისა გადმოგვცემს, რომ ლაშა თამარის გარდაცვალებისას 18 წლისა იყო, ხოლო გვირგვინის კურთხევისას 13-საო. ლაშას დაბადების დროს შესახებ ჩვენ ორი ქრონიკული ცნობა მოგვეპოვება — 1192 და 1194 წელი. რომელი მათგანი მართალია a priori შეუძლებელია ითქვას. რაკი ამგვარად ლაშას დაბადების დრო ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, მემატიანეს ზემოდ მოხსენებული ცნობა ჯერ-ჯერობით გამოუყენებელი ხდება. მაშ როგორ გადავწყვიტოთ თამარის გარდაცვალების წელიწადი? საბედნიეროდ ამის შესახებ კიდევ მოიპოვება მტკიცე და ეჭვ მიუტანელი საბუთები. სახელდობრ, არის ერთი სომხური ეპიგრაფიული წარწერა, რომელიც დიდი ხანია რაც დაბეჭდილია, სადაც 1210 წელს მეფედ მოხსენებულია გიორგი ლაშა. დედა მისი თამარი ამ დროს უკვე გარდაცვლილი ყოფილა. გარდა ამისა, მეორე სომხურსავე წარწერაში გიორგი გვირგვინოსნად მოხსენებულია 1205 წელს. რაკი ქართლის ცხოვრებით, ლაშა გვირგვინის კურთხევისას 13 წლისა ყოფილა, მაშასადამე ზემოდ მოხსენებულ ორ ქრონიკულ ცნობათა შორის უფრო მართალი უნდა იყოს როგორც ლაშას დაბადების წელი (1205 — 13) 1192 წელი. თამარის სიკვდილისას ლაშა იყო 18 წლისა, მაშასადამე თამარი გარდაიცვალა (1192+18=) 1210 წელს. არის კიდევ ერთი ფრიად ღირსშესანიშნავი საბუთი, რომ თამარი მართლად 1210 წ. უნდა გარდაცვლილიყოს. ამ 1210 წელს თამარი ჯერ კიდევ ცოცხალია მისი სახელით მოჭრილია ფული 1210 წელს. მაგრამ ამავე წელს გიორგი ლაშა გამხდარა თვითმპყრობელ მეფედ. ამავე 1210 წელს საქართველოში ფული მოუჭრიათ გიორგი ლაშის სახელითაც. მაშასადამე, ეს კიდევ მესამე საბუთი რომ თამარი გარდაცვლილა 1210 წელს. აქ კიდევ უნდა აღინიშნოს რომ როგორც უეჭველ საბუთებიდან სჩანს მე-XII—XIII საუკ. ჩვენში წელიწადი 1 სექტემბერს იწყებოდა. მაშასადამე 1210 წელს თამარის გარდაცვალება უფრო დანამდვილებით ნიშნავს მისს სიკვდილს 1 სექტემბერი 1209 წ.—1 სექტემბერი 1210 წლის სიგრძეზედ. რა თვეში გარდაიცვალა თამარი? ამის შესახებ მოიპოვება შემდეგი საბუთი. პროფ. ცაგარელმა სინას მთის ხელნაწერში იპოვა ცნობა თამარის გარდაცვალების შესახებ 27 იანვარს (წელიწადის აღუნიშნავად). თუ ეს ცნობა, მე-XIII საუკ. ხელ ით დაწერილი, მაინც სხვა თამარს არ შეეხება, მაშინ თამარის გარდაცვალება უნდა დაიდვას 27 იანვარს 1210 წელს. ხოლო ქართლის ცხოვრებაში მოხსენებული 18 იანვარი საეჭვოა, მით უმეტეს რომ ეს ადგილი სრულიად არ მოიპოვება ქართლის ცხოვრების უძველესს, მარიამ დედოფლის ვარიანტში.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ თამარის სიკვდილის თარიღის დადება არც თუ ადვილია, მაგრამ მაინც შესაძლებელია სომხურ წყაროების დახმარებით და აქვე უნდა მოვიხსენიო რომ ამ ერთი წლის წინად ქართულ ისტორიულ საზოგადოებაში ჩემ მიერ წაკითხულ იქნა დაწვრილებით მოხსენება თამარის გარდაცვალების წლის შესახებ, სადაც მე თამარის სიკვდილის თარიღად დავსდე 27 იანვარი 1211 წლისა და არა 1210 წლისა, თუმცა ზემოდმოხსენებულ საბუთების მიხედვით 1210 წლის თარიღი სიმართლესთან უფრო ახლო უნდა იყოს. მაშინ მე შეცდომაში შემიყვანა საეკლესიო მუზეუმის ერთი ხელნაწერის ქრონიკულმა ცნობამ, ვითომც თამარი გარდაცვლილიყოს 1211 წელს. მაგრამ შემდეგ ხელნაწერის კარგად გასინჯვამ დამარწმუნა, რომ იქ 1206 წელია მოხსენებული და არა 1211 წ. ხოლო ქართულ ქრონიკებში ყველგან თამარის სიკვდილი მოხსენებულია 1206 ან 1207 წელს. თედ. ჟორდანიამ უკვე გამოარკვია რომ აქ არეულია ერთმანეთში თამარისა და მისი ქმრის დავით სოსლანის სიკვდილის თარიღები შემდეგ დროინდელ გადამწერელთა მიერ. მართლაც 1206 წელს გარდაიცვალა თამარის ქმარი დავით მეფე.

ამგვარად უეჭველი ხდება მტკიცე, ზემოდ მოხსენებული ცნობების მიხედვით, რომ თამარი გარდაცვლილა 1210 წელს და, შესაძლებელია, 27 იანვარს. მიღებული თარიღი (1212 წ.) ყოვლად შეუწყნარებელია, როგორც ყოველგვარ ნიადაგს მოკლებული. აგრეთვე მისაღები არ არის თედ. ჟორდანიას მიერ დადებული თარიღი (1213 წელს აგვისტოს). ფრიად სიმპტომატიური და ამავე დროს სამწუხარო მოვლენაა, რომ ამდენ ხანს ჩვენი ისტორიის სათაყვანო მეფის სიკვდილის თარიღიც კი ასე ზერელად და ცარიელ სიტყვაზედ იყო დამყარებული (როგორც, მაგალითად, ბროსსეს თარიღი). ეს აიხსნება იმ გარემოებით რომ ჩვენს ისტორიგრაფიას აქამდის არა ჰყავს შესაფერად მომზადებული ნიჭიერი მუშაკი ახლაც, როდესაც თამარის იუბილეს შესახებ ლაპარაკია აღძრული, ჩვენი ისტორიგრაფია პირდაპირ სასირცხვო მდგომარეობაში ვარდება. თამარ მეფისა და საზოგადოდ მე-XII – XIII საუკ. საქართველოს შესახებ ქართველებს არ მოგვეპოვება ხეირიანი მონოგრაფია. რაც შეეხება თამარის იუბილეს გადახდას, ეს რასაკვირველია, ფრიად საჭიროა და ეროვნული თვალ-საზრისით მას დიადი მნიშვნელობა აქვს. ამ ჩემს წერილს აქვს მარტოოდენ ინფორმატიული ხასიათი. თავისთავად იგულისხმება, რომ თამარის 1210 წელს გარდაცვალება ხელს არ დაუშლის 700 წლის იუბილეს 1912 ან 1913 წელს გარდახდას, მით უმეტეს რომ თარიღი 1212 წლისა (და რამდენადმე 1213 წლისა), როგორც თამარის გარდაცვალების დრო, აქამდის ჩვენში საზოგადოდ მიღებული იყო.

სარგის კაკაბაძე.

სიზმრის აჩრდილი.

დაეძებს ქარი, ხან ტყეს ევედრება, ხან ჰქალას ჩაჰკივლებს, ხან ვარდს ფოთლებს გადაუწევს; ეძახის, უხმობს... განმარტოებით მდგარ ტოტებ შემხმარ მოხუც წიფელას შესჩივის თავის უბედობას... ისევ მიიჭრება ტყესთან, მტვერში მიიხავს, ვარსკვლავებს აეტანება და კვნესით, ქვითინით გადაიფრენს მკვდარ მინდორს...

სტირის ქარი, სტირის... დიდი ხანია სტირის და თვალები გაშრობია, ცრემლი აღარა აქვს. მას აქეთ, რაც ჯოჯოხეთურ ხევში დაიბადა, დაეძებს მას, დაეძებს ყველგან, ყოველთვის... მთლათ შემოიარა ხმელეთი, ზღვასაც ბევრჯელ გადასძახა და... ისევ დაეძებს ..

იგი არსადა სჩანს.

— სადა ხარ, სად?.—გადასჭყივლებს ხოლმე სევდიანი ქარი მშფოთვარ ტყეში, შეიჭრება შიგ, დაეძებს... კვნესით გამოემართება გამოქვაბულისაკენ; იქაც შეიხედავს, დაუსტვენს, მაგრამ ვერ ჰპოულობს...

მხოლოთ ერთხელ ნახა... ზამთრის ცივ ღამეში წუთით მიიძინა მთვარის შუქზე და სიზმარში იგი იხილა. ჰაეროვანი, ზღაპარივით ლამაზი მივიდა და შუბლს ეამბორა... იქვე გაჰქრა... მთვარეს ჰაწაწა ღრუბელმა გადაუარა და სიზმრის აჩრდილი მიიმალა...

ქხრი უფრო მხნედ, მოუსვენრად დაეძებს მას, სურს კვლავ ეამბოროს მას..

დაეძებს ბალახებში, დაეძებს მზის სხივებში, ტალღათ მწყობრ გალობაში... უსტვენს, ევედრება და სასოწარკვეთილი კვლავ დასტირის ყრუდ გაშლილ მინდორს...

ალ. ცირეკიძე.

ახალი ამბები.

✦ გუშინ ხოჯივანქის სასაფლაოზე დაკრძალეს გვამი ახლად განსვენებულის თავ. ვასილ მიხეილის ძის თუმანიშვილისა, რომელიც ერთ დროს ქართულ თეატრში რეჟისორად იყო, მერე კი „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორად. მის ცხოვრების აღწერას შემდეგ ნომერში დავსტამბავთ. დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო. სიკვდილი მისი მოულოდნელი იყო. გარდაიცვალა ანთებისაგან. ყველა ნანობდა, რომ დაჰკარგეს დიდად პატიოსანი და კაცთ-მოყვარე ადამიანი ქართველმა არტისტებმა და ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გვირგვინებით შეამკეს მისი კუბო.

✦ ინგლისელ განთქმულ მუსიკოსს-კომპოზიტორს მისტერ სკოტს დიდი ყურადღება მიუქცევია ქართულ საერო და სასულიერო მუსიკისათვის, რომელსაც გასცნობია ზ. ფალიაშვილს და ა. ყარაშვილის კომპოზიციების საშუალებით.

✦ ლონდონის ჟურნალ ,,თი კვესტის“ ამ წლის იანვრის ნომერში დასტამბულია პროფ. ივ ჯავახიშვილის წერილი, რომელიც შეეხება საქართველოს ისტორიის წინად-ქრისტიანულ ხანას. ამ წერილში მოყვანილია სხვა და სხვა სახალხო გარდმოცემები. ეს წერილი ინგლისურად სთარგმნა ქართულიდან ჩვენმა ცნობილმა პუბლიცისტმა ბ. მიხეილ წერეთელმა.

✦ ჩინეთის მეფემ უარი სთქვა მეფობაზე. რევოლიუციონერები მოითხოვენ, რომ ეს უარის თქმა უფრო გარკვეულად იყოს ნათქვამი წერილობით საბუთში.

✦ კიევში დამცველ განყოფილების ყოფილი უფროსი კულიაბკო დააპატიმრეს. სენატორ ტრუსევიჩის რევიზიამ პ. ა. სტოლიპინის მოკვლის გამო დანიშნულმა აღმოაჩინა საბუთები მის წინააღმდეგ.

✦ სარატოვის ეპისკოპოსად ნამყოფი ჰერმოგენი გაემგზავრება მთავრობის მიერ დანიშნულ მონასტერში. ბერი ილიოდორე ვერ უპოვიათ. ამბობენ პეტერბურგში იმალება ერთ უმაღლესი წრის მანდილოსნის სახლშიო.

✦ 20 იანვარს მოსკოვში გაიმართა ქართული სალამო, რომელმაც მშვენივრად ჩაიარა. სხვათა შორის ეწვიენ ამ სალამოს მოსკოვის ქალაქის თავის ნ. ი. გუჩკოვის თაოსნობით ინგლისელი სტუმრები, რომელნიც კმაყოფილი დარჩნენ ნანახით. მათ მოეწონათ ლეკური და ქართული ჩაცმულობა. მასპინძლები ალ. სუმბათაშვილის იუჟინის მეთაურობით დიდის ამბით დაუხვდენ მოულოდნელ სტუმრებს, დალიეს მათი სადღეგრძელო და აგრეთვე ნ. გუჩკოვისა. სერ მეკენზი უოლლესმა, რომელიც საქართველოში ყოფილა, დალია ქართველების სადღეგრძელო და შეაქო ქართველობა და მათი ტურფა ქვეყანა. ნ. გუჩკოვმაც ქართველი ერის სადღეგრძელო დალია. ინგლისელი სტუმრები ძალიან კმაყოფილი დარჩენ დახვედრით და დიდი მადლობა გადაუხადეს როგორც ა. ი, სუმბათაშვილს, ისე ნ. გუჩკოვს. დარბაზიდან გასვლის დროს ისინი გარდაჰქილ ხმლებ ქვეშ გაატარეს, რამაც ძალიან გააკვირვა.

✦ გუშინ დიდის ამბით აკურთხეს და გახსნეს ნაძალადევის თეატრის ახალი შენობა, რომელიც აგებულია მუშების თაოსნობით და მათი საოცარი მხნეობის წყალობით.

ჩვეულებრივი მოვლენა?

მე მყავს ერთი მეგობარი—საოცარი კეთილი არსება. შეგხვდება თუ არა ქუჩაში და თუ შეგნიშნავს, რომ რითიმე შეწუხებული ხარ, თვითონაც შეწუხდება მერე იმნაირად, რომ თავის შეწუხებული სახით შენც კიდევ უფრო შეგაწუხებს.

მის თვალებში უცებ ჩნდება მეტად ნათელი, მეტად მხურვალე სურვილი დახმარების აღმოჩენისა შენი ვარამის გამო მის ხმაში ისეთი ნოტები მოისმის, რომ ცხადი ხდება მისი გულწრფელი თანაგრძნობა. შენ თავს როგორღაც უხერხულად გრძნობ და ამიტომ ჩქარობ შენვე დაამშვიდო:

— ჩემო კარგო, არაფერია ნუ შეწუხდები. მე თვითონ მოვაწყობ ყოველისფერს. არა უშავს-რა! შაქარი ხომ არა ვარ! გავუძლებ როგორმე...

მაგრამ კეთილი მეგობარი არა სცხრება.

— არა! მე ვერ შევიძლებ შენი მდგომარეობა ავიტანო. მე ეხლავე წავალ.

— სად?

— ერთ ადგილას... შეიძლება გავარიგო შენი საქმე. მე უეჭველად... შენ ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მაღელვებს შენი მდგომარეობა...

— შენი ჭირიმე, ნუ შეწუხდები! — დაიწყებ ხოლმე მის დაშოშმინებას და გრძნობ, რომ შენი ჭირი, შენი ვარამი თითქო სცხრება, სადღაც იკარგება ამ მეგობრულ თანაგრძნობის სიდიადის წინაშე.

მეგობარი კი განაგრძობს თავის გეგმას, თუ როგორ დაეხმაროს გაჭირებულ ამხანაგს. ეს გეგმა მწყობრი და წარმტაცია. მომავალიც რაღაც საინტერესოს გიქადის. ტკივილი გიამდება, გულს რწმენა უბრუნდება. მომავალი გახარებს. ერთხელ კიდევ გესვრის კეთილი ამხანაგი თანაგრძნობის თბილ ზვირთებს, შეხტება მერე ეტლში და მიფრინავს საითკენღაც მთლად ცეცხლ-მოდებული...

მაგრამ გადის დღეები, არაფერი ახალი და მანუგეშებელი არსაიდან არა ისმისრა. იმედებს ფერი ეკარგება და ჭირ-ვარამი ხელ-ახლა იპყრობს გულს.

თვით სახელს ადამიანისას, რომელსაც ასე გულიანად, ასე წრფელად სურდა დაგხმარებოდა, ეფარება რაღაც ნაირი ლამაზი რომანტიული წუხილის ნისლი.

მაგრამ ის, რასაც კერძო ურთიერთობაში შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ლამაზი წუხილი, რომ კეთილ განზრახვას არ ეღირსა განხორციელება, საზოგადო ცხოვრების ფართო სარბიელზე იღებს მეტად არა-სასურველ მოვლენის ხასიათს.

დააიმედო, შეიტყუო და გააბრუო ადამიანი დაპირებით, დაუხატო მას წმინდა სამხრეთის ხელოვნებით და სამხრეთისავე ფერადებით რომელიმე საზოგადო სამუშაოს სურათი, გადარიო იგი, დაპირების წყალობით ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო, დაჰპირდე მოკლე ხანში ნივთიერად დაგეხმარებიო, საქმეებს და თვალ საჩინო გასამრჯელოს გაგიჩენო—განა ეს საკადრისია იმათთვის, რომელნიც თავიანთ თავს ეძახიან ,,საზოგადო მოღვაწეებს'' და რომელნიც ასე ექცევიან ხშირად იმ პირებს, მძიმე მუშაობით რომ იკვებებიან და ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენლებათ ითვლებიან.

ესენი კი, მგონია, ღირსნი არსიან უფრო ზრდილობიანი და უფრო გრძნობიერი ურთიერთობისა სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელთა მხრით.

საზოგადო მსჯელობას დავანებოთ თავი და გადავიდეთ კერძოზე. გავეცანი ამას წინად ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარს კოტე ქავთარაძეს, რომლისაგან მოვისმინე მისი მწუხარე და სევდიანი ამბავი. მოკლედ აი რაში გამოიხატება.

დაბრუნდა სამშობლოში მხატვარი. უნდოდა ეჩვენებინა მისათვის თავის შემოქმედების და ნიჭის მუშაობის ნაყოფი, გაეზიარებინა თვისი. წარმატება და ცოდნა, სურდა პატარა ხანს სამშობლო ჰაერით ესუნთქა და მერე ისევ წასულიყო სასწავლებლად იქ, სადაც ცხოვრების და მუშაობის პირობები არ აძლევენ ნებას ნიჭს დასჭკნეს. გამართა ამ მხატვარმა თავის ნაწარმოების პატარა გამოფენა. გაიმარჯვა კიდეც საზოგადოების თვალში. შემოსავალიც შემოუვიდა. მომავალში ჰფიქრობდა დაუყოვნებლივ ან რუსეთს ან საზღვარ-გარეთ წასულიყო, ანდა თბილისში დროებით სამხატვრო მოეწყო.

აი სწორედ აქ დაიბადა ის, რასაც მე ჩვენი საზოგადო ცხოვრების „ჩვეულებრივი მოვლენა“ მინდა ვუწოდო.

— იცით, ძვირფასო მხატვარო, დარჩით ჯერ-ჯერობით მოაწყვეთ აქ ისე თქვენი საქმეები, რომ შეგეძლოსთ ევროპაში წასვლა დამშვიდებული გულით და სავსე ჯიბით,— ურჩევდენ მას.

— როგორ? ახლა მაქვს 300 მ. მერე რომ ვერა მომეწყოს-რა და ეს ფულიც

შემომეხარჯოს აქ ყოფნაში? მაშინ რაღა ვქნა?

მრჩეველებს და მობაასეებს თითქო კიდეც ეწყინა ეს სიტყვები.

— როგორ თუ ვერა მოეწყოს-რა? ჩვენ რომ ჩვენ კაცს არ დავეხმაროთ, განა შესაძლებელია? ვის გაუგონია? რანი გვონივართ? ეჰ, კოტე-ჯან! დამშვიდდი — ჩვენ ყველაფერს მოვახერხებთ.

და ქართულ საზოგადოებრივი ცხოვრების სამმა ვეშაპმა — წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ და ახალმა კლუბმა (ამ ბრწყინვალე ლევიათანმა მოვარაყებული ქერქით და გამოფიტული გულით!) იკისრეს ახალგაზრდა მხატვრის ბედ-იღბლის მოწყობა, — სამი კეთილი მამიდასავით, რომელნიც ყოველთვის ჰპირდებიან „საყვარელ" ძმისწულს ბევრს სასიამოვნო რამეს, ბოლოს კი მარტო თავზე გამხმარ ხელის გულს უსვამენ.

მართლაც! ვინ არ დაიმედა მხატვარი ამ ხნის განმავლობაში?! რასაკვირველია, ჩვეულებრივად ამ დაპირების დროს ხშირად ახსენებდენ ზუბალაშვილის და სარაჯიშვილის სახელს.

— მე შენ ზუბალაშვილის საშუალებით უსათუოდ მოგიხერხებ კარგ დახმარებას! — არწმუნებდა ერთი.

— მე სარაჯიშვილთან დავდივარ ხშირად. ამიტომ შენი საქმე ნახევრად კიდეც გაკეთებულია! — ჩასჩურჩულებდა მეორე.

— მე მოგიხერხებ სტიპენდიას! — იქაჩებოდა მესამე. დეიდაჩემი გამგეობის თავმჯდომარეს ძალუად მოხვდება.

ერთის სიტყვით, საქმე გაჩარხული სჩანდა და მტკიცე ნიადაგზე დაყენებული.

ახალი კლუბი დაჰპირდა წარმოდგენას გავმართავ საკონცერტო განყოფილებითო. **დრამატიული საზოგადოება** დაჰპირდა თეატრს და დღესაც მე ამოგირჩევო.

წერა-კითხვის საზოგადოება დაჰპირდა სტიპენდიას დაგინიშნავო.

შავიქვის მრეწველთა საბჭოც დაჰპირდა რამეს მოგიხერხებო.

მხატვარმაც ყველას არზები მიართვა, რომელშიაც სთხოვდა დროებით დახმარებოდენ სესხის სახით და ვალდებულებას კისრულობდა ნაწილ-ნაწილ გადაგიხდითო აღებულ სესხსო.

მაგრამ...საუბედუროდ არავინ არაფერი გაჰკეთა-რა. პასუხის მიცემაც კი არ დაინახეს საჭიროდ.

ამ ხნის განმავლობაში კი მხატვარი რაკი ელოდა დანაპირების ასრულებას, აღარ ღებულობდა საქმეებს. რაც ფული ჰქონდა, ისიც შემოეხარჯა ჭამა-სმაზე.

20 აგვისტოდან 4 ნოემბრამდე „ახალი კლუბი" იმედებით და დაპირებით ჰკვებავდა მას.

6 ნოემბერს კლუბის მამასახლისთა საბჭოს დაეკითხა თავის არზის შესახებ, უამბო თავის გარემოება და დაუწყო ლოდინი პასუხს.

მაგრამ პასუხი არსად სჩანს.

დრამატიული საზოგადოებაც ამნაირად იქცევა ხან დღე ვერ აურჩევიათ წარმოდგენის გასამართავად, ხან საღამოს პროგრამა ვერ შეუმუშავებიათ.

ამ დროს კი სცენაზე კლოუნადის, ტაკიმასხარაობის ჟანრის აყვავებას ყველანი ხელს უწყობენ...

წერა-კითხვის საზოგადოებამ არაფერი არა გააკეთა-რა.

შავიქვის მრეწველთა საბჭომ — არაფერი! „ახალმა კლუბმა" — არაფერი!

დრამატიულმა საზოგადოებამ — არაფერი!

საზოგადოების ცალკე წევრები კი, ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენელნი, ერთ დროს ჰპირდებოდენ წარმოდგენის გამართვაში ხელს შეგიწყობთო.

ახლა გეკითხებით: რა სახელი უნდა ვუწოდოთ ამისთანა ქცევას საზოგადო სარბიელზე ახლად გამოსულ მოღვაწის, ჩვენი პატარა ხელოვნების მსახურთა ოჯახის ნიჭიერ წევრის მიმართ? იმისთანა ადამიანის მიმართ, რომელიც სავსეა თავის საქმისა და სამშობლოსადმი სიყვარულით და რომელიც მოწადინებულია ემსახუროს თავის სამშობლო ქვეყანას?

ასეთ საქციელს განა არ შეუძლია გული გაუგრილოს ადამიანს, რომელიც მხურვალედ მოწადინებულია საქმეს მოჰკიდოს ხელი?

განა ამგვარ მოპყრობას არ შეუძლია ახალგაზდა ნიჭიერ მხატვარს გულში მოუსპოს თავის ძალების ნათელი რწმენა, წმინდა იმედები, შეუსუსტოს სიყვარული ყოველისფერ თვისიანისა და ძვირფასისადმი?

— ჩავუფიქრდეთ ამ ყოვლად სამწუხარო მოვლენას, ბატონებო!

ჩვენს საზოგადოებას ესაჭიროება ერთნაირად როგორც საზოგადო მოღვაწენი პედაგოგიკის და საზოგადოდ მეცნიერების სარბიელზე, ისე თავის ხელობის ერთგული ლიტერატორნი, მხატვარნი და არტისტნი. დიახ! სწორედ არა ნაკლებ ესაჭიროება!.

და ამ ხალხს უნდა უფრო გრძნობიერად მოვეპყრათ, რომ არ გავუციოთ გულში ნაპერწკალი, არ მოუსპოთ სრულიად შემოქმედების ძალის ჩანასახი და ასე ხელი შევუწყოთ მის განვითარებას...

ლევ. ყიფიანი.

ალსარება *)

ანუ სარკე, რომელშიაც ყველას შეუძლია დაინახოს თავი თავისი.

რას მიყურებთ? ვერ მიცანით? ერთის შეხედვით თითქოს ძალიან ვგევართ ერთმანეთს, მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც თქვენ, მაგრამ უფრო ღრმად თუ ჩაუკვირდებით საკითხს, ეს ასე არ არის. მეც სწორეთ ამით ვხსნი, რომ ასე ცნობის მოყვარეობით მომჩერებია ამდენი თვალები. ალბათ თქვენ გსურთ დაინახოთ ჩემში, რაც თქვენთვის დაფარულია. ძნელი საქმე გიკისრიათ. რაც უნდა მიყუროთ, მიზანს ვერ მიახწევთ. ამიტომ, თქვენი ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ, მე განვიზრახე თვითონ გაგაცნოთ ჩემი თავი, წარმოვსთქვა თქვენს წინაშე აღსარება, სადაც თქვენთვის ყველაფერი აშკარა იქნება. მართალია თქვენ მხედავთ, როგორც ერთ ადამიანს, მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ ერთი არა ვარ. ჩემში მოთავსებულია რამდენიმე დარგის ადამიანი: **საზოგადო მოღვაწე, მოქალაქე, ექიმი, ვექილი, რედაქტორი, პუბლიცისტი, სტუდენტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პოეტი, მამულიშვილი** და სხვა. უპირველეს ყოვლისა გაგაცნობთ ჩემს თავს, როგორც საზოგადო მოღვაწეს. **როგორც საზოგადო მოღვაწე** პირდაპირ შეუდარებელი ვარ. ტყუილათ ნურავინ დაიკვეხავს, მაგ მხრით ვერავინ შემედრება. საზოგადო საქმისადმი სიყვარული პატარაობიდანვე შესისხლხორცებული მაქვს. ამ დარგის ადამიანი ძლიერ ადრე განვითარდა ჩემში. ჯერ თურმე პატარა ვიყავი, როცა გასაოცარ უნარს ვიჩენდი საზოგადო საქმისადმი, უმეტესათ, როცა სადილის დროს სუფრას მოვუსხდებოდით. თუმცა მაშინ კარგათ გათვალისწინებული არა მქონდა საზოგადო საქმე, საზოგადო მოღვაწეობა, მაგრამ ინსტინქტურათ მაინც ვგრძნობდი, რომ პირდაპირ ამ საქმისთვის ვიყავ გაჩენილი. დღეს, რასაკვირველია, ჩემთვის ყველაფერი აშკარაა. რა არის საზოგადო საქმე? ეხლა ეს კითხვა ჩემთვის დღესავით ნათელია, ამიტომ შემიძლია პირდაპირ გიპასუხოთ. საზოგადო საქმე არის ფლავი, ან ჩიხირთმა ბოზბაში ეს, მე მგონია თქვენც კარგათ იცით. რა არის საზოგადო მოღვაწეობა? დიდი კოვზით ფლავის, ბოზბაშის ან ჩიხირთმის ჭამა. თქმა არ უნდა, თქვენც კარგათ იცით, რომ ვინც მეტს სჭამს, ის ყველაზე მეტს მოღვაწეობს. აი ამ მძიმე უღელს პატარაობიდანვე ერთგულათ ვეწევი. როცა ყველა ჰყვიროდა, მეც ვყვიროდი, როგორც ერთი ფრიად ცნობილი და პატიოსანი ცხოველი. ხოლო როცა უმრავლესობა დაჩუმდა, მეც დავჩუმდი, მოვნახე თბილი ბინა და ვცხოვრობ არხეინათ. უმეტეს დროს ჩემს თავზე ფიქრს და ზრუნვას ვანდომებ, როგორც მოგეხსენებათ ეს საზოგადო მოღვაწეობის ერთი მთავარი მუხლია. თვალი და ყური მარჯვეთ მიჭირავს, კოვზიც მზათა მაქვს. თუ კიდევ დაიყვირეს, იცოცხლეთ, მეც დავიღრიალო და გამოვიტანო ჩემი კოვზი, თუ არა და მახლას! რა მიშავს! ვისაც და სადაც როგორ მოუხდება, ისე ვიქცევი. იქაცა ვარ, აქაცა ვარ, ყველაფერი ვარ, მხოლოდ ეს კი დანამდვილებით ვიცი, რომ მხოლოდ მარტო ჩემი თავისთვის ვარ და სხვა ყველაფერი ფეხებზე მკიდია. აი, ბატონებო, ჩემი საზოგადოებრივ მოღვაწეობის მრწამსი.

როგორც **მოქალაქე**, არა მგონია სხვა ვინმე იყოს ჩემისთანა. მოქალაქობრივი უფლებები ისე მაქვს შესწავლილი, როგორც ზოგიერთ ჩვენ მსახიობებს როლები. რაც უნდა მდგომარეობაში ვიყო თავის დღეში არ ვივიწყებ ჩემს მოქალაქობრივ უფლებებს. როცა დილით სახლიდან გამოვდივარ, უპირველეს ყოვლისა ზრდილობიანათ თავს ვუკრავ იქვე მდგომ პოლიციელს. მე მუდამ მახსოვს, რომ ეს მოქალაქობრივ უფლებების პირველი მუხლია. მოქალაქისათვის აუცილებლათ საჭიროა პოლიციელს ქუდი მოუხადოს და არ გააჯავროს. როცა საპოლიციო უბანში წასვლა მიხდება გვერდებს მაგრათ ვიკრავ, რომ თუ ვინიცობაა, მასაჟი გამიკეთეს ე. ი. ქართულათ რომ ვსთქვათ, დამზილეს, ნეკნები არ დამიზიანდეს. ეს არას დროს არ მავიწყდება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ძლიერ მავნებელია ჩემი მოქალაქობრივ გვერდებისათვის. როცა მიბრძანებენ ვყვირი, როცა მიბრძანებენ ჩუმათ ვარ. მიბრძანებენ ვიცინი, მიბრძანებენ ვსტირი. ქუჩაში რომ ვირმა დაიყროყინოს, შიშით გული მიწუხდება. პოლიციელს როცა აცხინკვებს, მოკრძალებით ქუდს ვიხდი. „სვისტოკი"-ს ხმა რომ გავიგონო კარებს ვიკეტავ, ხატის წინ ვიჩოქებ და ღმერთს ვსთხოვ მშვიდობით გადარჩენას. ოჰ! ეს წყეული „სვისტოკი"! არაფერი ისე არ ხვდება ჩემს გულს, როგორც „სვისტოკი"-ს ხმა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც სახელმწიფო დუმამ მიიღო ამის შესახებ კანონ-პროექტი. ჩემი მოქალაქობრივი უფლებები პირდაპირ შეუზღუდველია შემიძლია, მხოლოდ გადამეტებით კი არა, დამთქნარება, ძილი, ჭამა სმა და სიარული.

ექიმები თავის თავზე ნუ მიიღებთ და ამ მხრით ვერავინ შემედრება. არ დაგიფარავთ, რომ ძლიერ კარგი ექიმი ვარ. დიდ ნიჭსა და ცოდნასთან ერთათ დიდი გამოცდილება შევიძინე. მართალია პირველ ხანებში, როცა ჯერ კარგად დახელოვნებული არ გახლდით ფულების აღებაში, უკაცრაოდ, ექიმობაში, არა ერთი და ორი პაციენტი გავგზავნე საიქიოს, მაგრამ სამაგიეროთ, როგორც მოგახსენეთ, დიდი გამოცდილება შევიძინე. მე აღმოვაჩინე, რომ ყოველი ავათმყოფობის გამოცნობა შეიძლება ადამიანის მარჯვენა ხელის გულზე საკმაოა ექიმი დაკვირვებით დააცქერდეს ავათმყოფის მარჯვენა ხელის გულს, რომ გამოიცნოს რით არის ავათ და შეიძლება თუ არა გადარჩენა. ამ ნიადაგზე ჩემს პაციენტებს უპირველეს ყოვლისა მარჯვენა ხელის გულს ვუსინჯავ, უკეთუ იქ რაიმე ლითონი აღმოჩნდა ავათმყოფი გადარჩენილია. ჩემი პაციენტები ისე გაიწვრთნენ ამ მხრით, რომ შემოდიან თუ არა ჩემს კაბინეთში ენის მაგიერ მარჯვენა ხელს მიშვერენ და მეც აშკარათ ვატყობ, აქვს სიცხე თუ არა. ამგვარათ ექიმს შეუძლია იმ დასკვნამდე მივიდეს, რომ შესაძლებელია პაციენტისაგან გაკეთდეს სახლი, შესდგეს ქონება და ყველა ამის პატრონი ექიმი გახდეს.

ნულარ იტყვით, როგორი ვარ როგორც **ვექილი**. შესაძლებელია აქ ვექილები ბრძანდებოდენ, მაგრამ თავის თავზე ნუ მიიღებენ, ჩემს თავზე მოგახსენებთ, როგორც ვექილზე. როგორც ექიმობაში, ისე ვექილობაში გამოცდილებამ ბევრი რამ შემძინა. როგორც ვექილმა დიდი ხნის გამოცდილების შემდეგ აღმოვაჩინე შემდეგი: ყოველივე ბოროტება, უსამართლობა, ყოველგვარი დანაშაული ჩემი ცხოვრების უმთავრესი წყაროა. ეს ერთი. მეორე: შესაძლებელია კლიენტი გადადუღდეს. მესამე — შესაძლებელია ვექილის ენისაგან თოკი გაკეთდეს. როცა გადადუღებული კლიენტი ბევრ ხალას ოქროს იწონის, ვექილის ენისაგან გაკეთებული თოკი საშიშო არ არის, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ის უთუოთ ახრჩობს

ერთი **რედაქტორი** უთუოთ იქნება აქ ვინმე, მაგრამ თავის თავზე ნურაფერს იფიქრებს, მე მოგახსენებთ იმ ჩემ ნაწილზე, რომელიც რედაქტორს წარმოადგენს. მართალია დღეს რედაქტორისთვის აუცილებლათ საჭიროა იყოს, ან მენახშირე, ან მეჩექმე, ყასაბი, მიკიტანი, მეწვრილმანე ან სხვა, ხოლო მე კი არც ერთი ვარ და არც მეორე, მაგრამ სამაგიეროთ ვიცი გაზეთის დომხალივით შეზავება.

პუბლიცისტიც გახლავართ და უნდა მოგახსენოთ ამ მხრით მეტათ განვითარებული მაქვს ყნოსვა. რა არის პუბლიცისტობა — წუმპეში ბანაობა, ვინც უფრო ხშირათ სტოპავს ამ წუმპეში და ყურყუმელაობს, ის გამოჩენილი პუბლიცისტია. არავითარ ძალღონეს არ ვზოგავ მწვავე წერილები ვწერო, რომ ისარივით მოხვდეს გულში ჩემს მოწინააღმდეგეს, მკითხველის გონება გააშუქოს და მისი ლექსიკონი გაამდიდროს. საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონიდან ამოვკრიფე რაც შესამკობი სიტყვებია, სახელ. დუმის ანგარიშებს მუდამ ვკითხულობ, როცა პურიშკევიჩი ლაპარაკობს. ამგვარათ ვაზავებ წერილებს და ვწვდი მკითხველებს. როცა ჩემი წერილი იბეჭდება გაზეთი მრავლათ საღდება, უმეტესათ .. ავლაბრის მოედანზე...

როგორც სტუდენტი, სტუდენტებთან უკაცრავად, მაგრამ ჩემს თავზე მოგახსენებთ, თანამედროვე სტუდენტი გახლავართ. სწორედ იმ ტიპის წარმომადგენელი ვარ, რომელიც შექმნა უკანასკნელმა წლებმა. გიმნაზია გავათავე, შევედი უნივერსიტეტში, მაგრამ რა? გამოსვლა არ გინდათ? ჩავრჩი და ჩავრჩი. ვერ მიშველა ვერც კასოს ცირკულიარმა ვერც სხვამ. მე კიდევ იქ ვარ. გადის წელიწადები 25 წლის იუბილე ამ ერთი თვის წინად გადავიხადე. ამ გარემოებამ ბოლოს ძლიერ დამაფიქრა და აღმოვაჩინე კიდეც სტუდენტობის ასე გახანგრძლივების მიზეზი. ეს არის სწორედ მეცნიერების ის დარგი, რომლის შესწავლასაც შევუდექი. ქალთა საკითხის გამოკვლევამ და შესწავლამ სრულიად წარიტაცა ეს ამოდენა დრო ჩემის სტუდენტობისა. მთელი წლის განმავლობაში სამი თვე უნივერსიტეტში ვარ, ხოლო დანარჩენი დრო კი გოლოვინის პროსპექტზე. ხოლო უკეთუ რაიმე არა კეთილ-საიმედო მზადდება უნივერსიტეტში, ადრევე ყნოსვით ვიგებ და სრულიადაც ახლოს არ ვეკარები. როგორც მოგახსენეთ, ყველა ეს გამოიწვია მეცნიერების შესწავლის სურვილმა. დღეს ქალთა საკითხი სავსებით შესწავლილი მაქვს. გამოვიკვლიე, რომ სტუდენტის ტუჟურკა თანამედროვე ქალიშვილებს ჰკუაზე შლის, ამიტომ საჭიროა აკრძალულ იქმნას ტუჟურკის ტარება. მიყვარს ქეიფი, ვიცი ანეგდოტები, დაუფასებელი კავალერი ვარ, დილიდან საღამომდე ქუჩებს ვტკეპნი და ისე დავუბნიე დავთარი თბილისელ ქალიშვილებს, როგორც დანდუროვმა ქალაქის ბუჰგალტერია...

ბელეტრისტი გახლავარ, მაგრამ ჩვენი ბელეტრისტები თავის თავზე ნუ მიიღებენ. გინდ მოთხრობა დამიწერია და გინდ ფლავი მიჭამია. დამთქნარებას ვერ მოასწრობთ, რომ მოთხრობა მზად არის. საკმაოა თვალები დავხუჭო, ცოტა ჩავფიქრდე და მორჩა გათავდა. რაც უნდა წამოვროშო, იცოცხლეთ კი დამიბეჭდავენ, თუ შაურიან გაზეთში არა, ორ კაპეიკიანში მაინც. თქვენც მოგეხსენებათ, რომ მოთხრობის ღირსება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად განვითარებული აქვს მწერალს გრძნობა. უნდა მოგახსენოთ, რომ უბრალო რამ ფაქტებიც კი შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე. ამას წინად ქუჩაში შემთხვევით შევხვდი ერთ პატიოსან ცხოველს, ე. ი. სახედარს. უკან პატარა ბიჭი მოსდევდა და უმოწყალოდ სცემდა. ოჰ! რომ იცოდეთ რა უზომო ტანჯვა იხატებოდა მის ღრმა აზროვან თვალებში. წარმოიდგინეთ, რაღაც ცრემლის მაგვარიც კი შევნიშნე. მიდიოდა უხმოდ, დამონებული, ფეხქვეშ გათელილი. ქვის გული უნდა ჰქონებოდა ადამიანს, რომ ამ საზარელ სურათს შთაბეჭდილება არ მოეხდინა. მეც ღრმა ჭრილობა დამასვა გულზე. სახლში მოსვლისთანავე დავხუჭე თვალები და წუთით დაფიქრების შემდეგ ასეთი საუცხოვო მოთხრობა დავსწერე: „იანვრის სუსხიანი ღამე იყო, მძაფრ ყინვას შეებოჭა სამყარო, დედამიწა ფიფქ თოვლში იყო გახვეული. გარედ ზამბახის სუნით დამთვრალი ბულბული საუცხოვოდ ჰყეფდა. ის იყო მზემ წვერი ამოჰყო, როცა გზაზე გამოჩნდა გამხდარი სახედარი, ის ღრმად ჩაფიქრებული, ნელა მოაბიჯებდა. მის თვალებში აშკარად წაიკითხავდით, რომ ის გრძნობდა თავის უმწეო მდგომარეობას და თითქოს პროტესტის ნიშნად ყურებს აპანტურებდა. მას უკან მისდევდა გულ-ქვა ადამიანი, რომელსაც ხელში სახრე ეჭირა. გაიარეს თუ არა ცოტა მანძილი, სახედარი შეჩერდა, თითქოს უფრო ღრმად ჩაფიქრდა. გულ-ქვა ადამიანმა სახრე დაუშვა და უწყალოთ დაუშინა გამხდარ ზურგზე. საბრალო ცხოველი გაჩერდა, მიუბრუნდა გულ-ქვა ადამიანს სასოწარკვეთილი თვალებით შეხედა, ორი ობოლი ცრემლი მოსწყდა თვალებიდან და მოგრძო პირის სახეზე ჩამოუკრიალდა და გულ-დათუთქული გაუდგა გზას".

ნურც თქვენ თავზე მიიღებთ და ნურც ჩემზე იფიქრებთ, მაგრამ როგორც **დრამატურგი** იშვიათი ვარ. დრამებს ისე ვაცხობ, როგორც ლავაშებს. ერევნის მოედანზე რომ ტრამვაის ვაგონში ჩავჯდე, წყნეთის ქუჩაზე მისვლამდე ერთი დრამა მზად არის. ამ გასულ წელს სულ 245 დრამა დავსწერე, 80 დრამა საპრემიოთ წარვადგინე, მაგრამ სანამ ჩვენი დრამატიული საზოგადოება გადასინჯავდეს და ვისმეს პრემიას აღირსებდეს, ბარე ას დრამას კიდევ დავსწერ. ბევრი დავსწერე, მაგრამ რადგან ძლიერ რთული დრამებია და საძნელოა დაწერა, ჯერ არც ერთს სცენა არ ღირსებია.

ოჰ, პოეტი! აი რა არის მთელი ჩემი სიცოცხლის ნექტარი, მთელი ჩემი გრძნობა გონების მალამო. თქვენზე არ მოგახსენებთ, პოეტებო, ჩემზე ვლაპარაკობ. ჩემი ტვინი მაჭარივით დუღს, გული აფორიაქებულია, აზრები მერევა, გრძნობა მებმის, როცა ლექსებს ვსწერ. ამ დროს რომ ვინმემ მნახოს, ასე ეგონება ავათა ვარ და სიცხე მაქვს თავი მიხურდება, ჭარხალივით ვწითლდები. სუნთქვას მოვუხშირებ და ძლიერ ვქშინავ. როგორც დავაკვირდი, ეს პირველი ეტაპი არის არის ლექსთა წარმოდინების. ეს დრო მუზას გამოძახების დრო. უნდა მოგახსენოთ, ერთი ახირებული ჩვეულება დამჩემდა, ლექსებს საუცხოვოს ვთხზავ, მაგრამ ერთი ლექსის დაწერაზე იმდენ ოფლს ვღვრი, რომ ვერც ერთი რაჭველი მუშა ვერ დაღვრის მთელი დღე რომ ტვირთი ზიდოს. ლექსებს თუ იკითხავთ, ნამდვილი პოეზიაა. იქ ყველაფერი შეგიძლიანთ იხილოთ, მზე, მთვარე, ვარდი, ბულბული, კოცნა, ხვევნა და სხვა. ხშირათ ისე უცბათ მეწვევა მუზა, რომ წარმოუდგენელია ჩემთვის. აი მაგალითად ეხლა. დაფიქრებაც არც კი მინდა ისე დაგატკბობთ ჩემის პოეზიით.

ბავშვი ვიყავ უთაური
კატა მყავდა ხატაური,
პოეტი ვარ აქაური
ლექსი არის . . . . . .

მიხვდით, რომელი გამოჩენილი პოეტის მიბაძვაა — მე არ ვიტყვი.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ღირსშესანიშნავი მამულიშვილი ვარ. მიყვარს ჩემი სამშობლო, ჩემი ერი, მიყვარხართ ყველა ყველაფრის და ყველასათვის მზათ ვარ თავი დავსდო, მაგრამ... ცოტა კი მრცხვენიან, მაგრამ მაინც მოგახსენებთ... მხოლოდ... სიტყვით. მიყვარხართ მაშინ, როცა მკვდარი ხართ. სანამ ცოცხლები ხართ კი, ჩემს წინ რომ სულს ღაფავდეთ, თქვენთვის ხელსაც არ გავანძრევ, ვეცდები სიცოცხლეშივე გაგითხაროთ სამარე, ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაგიქციოთ. სამშობლო რომ ყვავ-ყორნების საძიძგნელათ გადაიქცეს, ყურსაც არ გავაქნევ. ხოლო როცა ყველანი დაიხოცებით და მიწას მოგაყრით იმდენ სიტყვებს გეტყვით, რომ ხატისომმა მგონია მთელი წლის განმავლობაში ვერ სთქვას და იმდენ გვირგვინებს მოგაყრით, რომ ქართლ-კახეთის ხარკამეჩებმა ვერ დასძრას.

პ. ირეთელი.

---

*) ეს ნაწერები ავტორმა წაიკითხა „თემის" სალიტერატურო საღამოზე. **რედ.**

ქართული თეატრი

ლ. ჩერქეზიშვილის ქალის ბენეფისი მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ საინტერესო წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს. მკითხველი, რომელიც დაესწრო ამ წარმოდგენას გაიკვირვებს, როგორ თუ საინტერესოო. დიაღ საინტერესო, მაგრამ რა მხრით? ეს წარმოდგენა პირდაპირ უსაშინელესი დაცინვა იყო კეთილ ქართველ მაყურებლისა. ქართველი საზოგადოება ჩვეული არის ნობათებს ჩვენი მსახიობთაგან, მაგრამ ხუთშაბათის წარმოდგენამ ჩვეულებრივს ბევრად გადააჭარბა.

უმთავრესი ნაკლი ამ წარმოდგენისა ეს მსახიობთ უზრდელობა იყო. დიახ უზრდელობა! სხვა სახელი არ დაერქმის მათ საზოგადოებისადმი მოპყრობას გასულ ხუთშაბათს.

საზოგადოება დაიარება თეატრში, დრამატიული საზოგადოება ტყავიდან ძვრება და საშრომს აწვდის მსახიობს, სხვა მათ მოთხოვნილებასაც შეძლებისამებრ უსრულებს, ისინი კი ყველა ამას ისე ღებულობენ, როგორც განებივრებული ბავშვი. მოესურვებათ, კარგათ ითამაშებენ, მოესურვებათ სულარ ითამაშებენ, მოესურვება, როგორც უნდა ისე ითამაშებენ.

მართალია ქართველი მსმენელი ჯერ-ჯერობით ითმენს, მაგრამ თუ ჩვენმა მსახიობმა უკუ არ აგდო თავისი შეუფერებელი თვისებები: სიზარმაცე, ცუღლუტობა და თავისი ერთგვარი უზრდელობა ხელოვნების წინაშე, ადვილი შესაძლებელია საზოგადოებამ ხმა აღიმაღლოს და კადნიერ მსახიობს თავისი ადგილი უჩვენოს. ამას უპირველესათ მოვითხოვთ ჩვენ ქართული სცენის მოყვარულნი, მისი მოტრფიალენი.

გოლა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთის 55 ნომერში „ახალ ამბებში" გამოცხადებულია, რომ ჩემს შვილს გიორგის სტოვებენ ბერლინის ბერგ აკადემიაში პროფესორად. ნება მიბოძეთ ეს ამბავი ცოტა შევასწორო. ჩემს შვილს მხოლოდ წინადადება მისცეს აკადემიაში ერთ გამოჩენილ პროფესორის ასისტენტად დარჩენისა. პროფესორის ხარისხის მიღებამდე ჯერ უნდა სადოქტორო დისერტაცია ჩააბაროს და რამდენიმე წელიწადს პრივატ-დოცენტად დაჰყოს. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს პროფესორობას.

ვასილ მაჩაბელი.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

კბილის ექიმი
ნინო ხელიძისა
იღებს ავათმყოფებს დილის 9 ს. — 2-მდე. საღამოს 5 ს. — 7-მდე. ღარიბებს და უმუშევრებს ხელმისაწვდენ ფასებში.
ანდრეევის ქუჩა სახლი № 36.

შეშის და ანტრაციტის საწყობი
ისიდორე იესეს ძე დოლიძისა
ელისაბედის ქუჩა № 174.
ტელეფ. № 1158.
დიდ ეკონომიას იძლევა.
პარამონოვის მადნების ანტრაციტი
ფუთი საწყობში 33 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა
გ. ტაბიძის წიგნზე „ლექსები და პოემები"
რვეული პირველი. ◆ ფასი ხელის მოწერით 50 კაპ.
ხელის მოწერა მიიღება: ის. კვიცარიძის ჟურნ-გაზეთების კანტორა „იმერეთში", გოგიბერიძის წიგნის მაღაზიაში, წიგნის მაღაზია „პროვინცია"-ში; ტყიბულში — მ. ბოჭორიშვილთან, ხარაგოულში სერ. რუხაძესთან და სხვ.

პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკა
„კავკაზი"
ს. ი. იმნაძისა
(ქ. ბათუმი, თბილისის ქუჩა, სახლი № 76.)
მზადდება საუკეთესო ჰიგიენური პაპიროსის ქაღალდის წიგნაკები.
ძლიერ ზომიერ ფასებში
დაკვეთა სრულდება სწრაფად და რიგიანად.
ადრესი: Батумъ, Тифлисская № 76.

სალიანის თევზის მოვაჭრეთ და მრეწველთ
ძმ. ძეგველოვების
მაღაზია
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 9. ტელეფონი № 712
ახალ-ახალი
ზუთხი (ოსეტრინა) და ტარაღანა (სევრიუგა). ყოველ დღე
ცხელი დოში
საუკეთესო „პაიუსნი" ხიზილალა, გირვანქა 1 მ. 40 კ. აგრეთვე მიღებულია საუკეთესო ღირსების „სელიოდკები" სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა. ნამდვილი ზურგიელი. მიღებულია ამურის წითელი ხიზილალა, ნამდვილი სალიანის შამაიები, აგრეთვე აჩუევის დონის „რიბეცები".

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ჯეჯილი
ოცდა მესამე წელიწადი
მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.
გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.
ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ღირს 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მან.
ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კაპ.
ქალაქ გარედ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიჰმართონ ქუთაისში — ის. კვიცარიძეს; თელავში — კნ. ნ. ჩოლოყაშვილს; სიღნაღში — კნ. ნ. სვიმ. ანდრონიკაშვილს; ჭიათურაში — ნიკო წუწუნავას; სამტრედიაში — ელ. რამიშვილს; ქ. გორში — თამ. თარხნიშვილს; ბათუმში მიხ. კალანდაძეს. წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრად ორი წიგნი: „ლომ-კაცი" ზღაპარი გ. წერეთლისა, სურათებით და „ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები" ალ. ჭიჭინაძისა, სურათებით.
ფოსტის ადრესი: Въ Тифл. въ Редакц. Грузинскаго дѣтск. жур. „Джеджили".
რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

ელექტრო-მბეჭდავი ს. ლოხაბერიძისა. მოსკოვის ქუჩა, № 5.